ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

10 — 11 აგვისტო, 2013 №188 (6189) ფასი: 30 თეთრი

## ოლეგ იაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

გვ.2





## ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილმა ამერიკის დაშანტაჟება დაიწყო“

გვ.4

რატომ არის აუცილებელი ვადამდელი არჩევნები

## გია ვოლსკი: „ბაქრაძეს სააკაშვილისგან გამიჯვნა სურს“

გვ.5



## ნაციონალების მმართველობისას 1300 სკოლა დაიხურა

გვ.6




ვინ დააბრუნებს სკოლებში პოლიტნიშნით გათავისუფლებულ პედაგოგებს?



## „დავით აღმაშენებლის ძეგლი ვარდების მოედანზე უნდა დაბრუნდეს“

გვ.5



## გიორგი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილს თავის შეკავებას ურჩევს

გვ.2

## ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს აშკარად იძულებითი მკურნალობა სჭირდება“

გვ.2



## გახდება თუ არა ქუთაისი მომაკვდავი ქალაქი



გვ.3



## ნაგავსაყრელი ქუთაისს სერიოზულ პრობლემას უქმნის

გვ.6



გვ.2

## ონლაინ-გამოკითხულთა უმრავლესობა მინისტრებს შორის ყველაზე დადებითად ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას აფასებს

ISSN 1987-9385

## ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე თავმჯდომარეობდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომას, საბჭოს შემადგენლობაში შემავალი შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომას ასევე დაესწრნენ ა.შ.შ.-ს საელჩოს საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის, გაერო-ს ნარკოტიკების გავრცელებასა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები და სხვა უცხოელი პარტნიორები. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის პროექტი და სამუშაო ჯგუფები დამტკიცდა.

**ნიუსპრესი**

## შინაგან საქმეთა მინისტრი სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროს ვლადიმერ გასპარიანს შეხვდა. შეხვედრის დროს მხარეებმა შესაბამის უწყებებს შორის პოლიციის სფეროში არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები განიხილეს. სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ გასპარიანის ხელმძღვანელობით, საქართველოში ოფიციალური, საპასუხო,

ორდღიანი ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ს ეწვევიან. სტუმრები აღნიშნულ ობიექტებს დაათვალიერებენ და მათი მუშაობის სპეციფიკას გაეცნობიან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია ბათუმში გაემგზავრება.

სომხეთის დელეგაციის ვიზიტი 11 აგვისტოს დასრულდება.

**ნიუსპრესი**

## კახა მიქაიას 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა

ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს კახა მიქაიას 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

მიქაია 8 აგვისტოს ღამით, პრეზიდენტის ზუგდიდის რეზიდენციასთან მიმდინარე აქციისას დააკავეს. აქციაზე მან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა მოითხოვა. სიტყვიერი დაპირისპირებისა და შეურაცხყოფის შემდეგ ის საპატრულო პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა დააკავა.

**პირველი**

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს აშკარად იძულებითი მკურნალობა სჭირდება“

„ვფიქრობ დროა ექიმები სერიოზულად ჩაერთონ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევაში“ — ასე შეაფასა პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, სააკაშვილის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაკეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ ვითომდა ნინო ბურჯანაძის პარტიას პირდაპირ კრემლის ადმინისტრაციიდან აფინანსებენ.

„მე არ ვიცი, რატომ ვერ აკონტროლებენ სააკაშვილს მისივე გუნდის წარმომადგენლები, ან მისი ოჯახის წევრები, რომ ზედიზედ ასეთი ინტერვიუები არ მისცეს. მისმა გუშინწინდელმა ინტერვიუმ მე დამიტოვა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ძალიან მძიმე შემთხვევასთან, როდესაც აშკარად იძულებითი მკურნალობა სჭირდება ადამიანს და ეს მართლაც ძალიან სამწუხაროა.



გუშინწინდელი განცდა გამიმყარა გუშინდელმა ინტერვიუმ, ამიტომ ვფიქრობ, რომ სააკაშვილის განცხადებებზე კომენტარის გაკეთება სწორი არ იქნება. ვფიქრობ, რომ უკვე დროა ექიმები სერიოზულად ჩაერთონ ამ ვითარების გარკვევაში.

ჩვენ არაერთი სარჩელი გვაქვს შეტანილი, რომელზეც აბსურდულ პასუხებს ვიღებდით — რომ ეს არ არის ბრალდება, ეს არის აზრი, ამავდროულად ჩვენ არაერთხელ ვნახეთ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, თავად სააკაშვილის მხრიდან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დროა ამ საქმეში ექიმები ჩაერთონ“— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მან გუშინ საარჩევნო კანონში შეტანილ ცვლილებებზეც გააკეთა კომენტარი. ნინო ბურჯანაძე ცვლილებებს მიესალმება და აცხადებს, რომ მათი შესრულება აუცილებელია.

„მივესალმები ამ ცვლილებებს, რადგან საკანონმდებლო ბაზაში კარგი ცვლილებები შევიდა. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილებები რეალურად იყოს განხორციელებული. ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერჯერობით, ხელისუფლების მხრიდან, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ადგილი მაინც აქვს. სახელისუფლებო კანდიდატი, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის თანამდებობაზე, მონაწილეობს ოფიციალურ ღონისძიებებში და გვაქვს კიდევ ბევრი სხვა მაგალითი, რომლის დეტალურ განხილვასაც არ დავიწყებ. აღსანიშნავია, რომ თანაბარ პირობებზე ჩვენ ნამდვილად ვერ ვისაუბრებთ, რადგან სამწუხაროდ პარლამენტმა არ გაითვალისწინა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენ და პირადად მე მომცემდა უფასო სატელევიზიო დროის გამოყენების შესაძლებლობას. სახელისუფლებო კანდიდატს და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ექნება თავისუფალი საეთერო დრო, ხოლო ჩვენ, საეთერო დროის ყოველ წუთში კოლოსალური თანხა უნდა გადავიხადოთ, ეს კი უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ასეთი ფინანსები არ გვაქვს. ბუნებრივია ჩვენ, თანაბარ პირობებში, თუნდაც მარტო ამ მიზეზით ვერ ვიქნებით. შემიძლია კიდევ ბევრი სხვა მაგალითი ჩამოგითვალოთ. თუნდაც ის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტებულია მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებით. კოორდინატორები და დამკვირვებლები ბიუჯეტიდან მხოლოდ ამ ორი პარტიის მიერ დაფინანსდებიან, რაც უკვე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვართ გაცილებით რთულ მდგომარეობაში, ვიდრე ნაციონალების და ოცნების კანდიდატი, თუმცა ამისდა მიუხედავად ჩვენ მაინც მოვიგებთ“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

## ონლაინ-გამოკითხულთა უმრავლესობა მინისტრებს შორის ყველაზე დადებითად ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას აფასებს

პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მინისტრებს შორის ინტერნეტ-გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე დადებითად შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას აფასებს.

საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ინტერნეტ-გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე პოპულარული მინისტრების ხუთეული ასე გამოიყურება: ირაკლი ღარიბაშვილი — 25.83%, ირაკლი ალასანია — 17.28%, დავით ნარმანია — 8.83%, კახი კალაძე — 8.64% და დავით სერგეენკო — 8.17%.

შემდეგი რეიტინგი კი ასე გამოიყურება: თეა წულუკიანი — 7.41%, დავით დარახველიძე — 3.89%, ხათუნა გოგალაძე — 3.23%, ნოდარ ხადური — 2.75%, შალვა ფიფია — 1.99%, გიორგი კვირიკაშვილი — 1.8%, ალექსი პეტრიაშვილი — 1.71%, ლევან ყიფიანი — 1.61%, თამარ სანიკიძე — 1.52%, სოზარ სუბარი — 1.33%, მაია ფანჯიკიძე — 1.33%, პაატა ზაქარეიშვილი — 1.04%, გურამ ოდიშარია — 0.95%, კონსტანტინე სურგულაძე — 0.66%.

ორი დღის განმავლობაში მიმდინარე გამოკითხვაში საკუთარი პოზიცია 1053-მა ინტერნეტ-მომხმარებელმა დააფიქსირა.

**პირველი**

# ოლეგ იაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული სოფლის“ წევრი ვახტანგ ბეჟიტაშვილი კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისგან, ოლეგ იაძისგან ოფიციალურად ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

როგორც ბეჟიტაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მიმდინარე კვირის ბოლოს იაძის წინააღმდეგ საქმიანი რეპუტაციისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

„პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება დაიწყო. ინტერვიუს დროს აბსურდულ ბრალდებებს მიყენებდა. მას ჰგონია, რომ ყველას გამგებლობა უნდა. გუშინ ადამიანის ხელის შეხებაზე არ იყო საქმე, მე არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით ვიყავი ღონისძიებაზე მისული. რაიონში არცერთი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია არ არსებობს. ამოვიღე ხმა და მობილური მესროლა, რომელიც გულის არეში მომხვდა. მაქვს დაჟეჟილობა , ამის გამო, გორის სამხედრო ჰოსპიტალშიც მივედი. ეს ადამიანი არის საშიში საზოგადოებისთვის. იგი ვერ რეაგირებს ადეკვატურად ვერცერთ წინადადებაზე. ვერ წარმოუდგენია, რომ ოპონენტები უნდა არსებობდნენ ქვეყანაში . მისი ქმედებები საფრთხეს უქმნის ადამინების სიცოცხლეს“,— აცხადებს ბეჟიტაშვილი და იაძისგან ან ოფიციალურად ბოდიშის მოხდას ან მტკიცებულებების წარმოდგენას ითხოვს.

ბეჟიტაშვილის თქმით, მასსა და ოლეგ იაძეს შორის მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადება შსს-ს რეგიონულ სამმართველოში გუშინვე შეიტანა, თუმცა მომხდარზე აღძრულია თუ არა საქმე, მისთვის უცნობია.

კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებული ოლეგ იაძე კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს სამართალდაცავებთან ფარულ თანამშრომლობაში ადანაშაულებს.

„ვინც მე მებრძვის, სოდ-ის და კუდ-ის აგენტები არიან. ახლა ის ადამიანები მიპირისპირდებიან, ვისაც არჩევნებამდე ვებრძოდი, აგენტები და ნარკომანები“,-აღნიშნა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა და უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იგი სპორტის სამინისტროში გადადის სამუშაოდ. იაძის თქმით, იგი გამგებლის თანამდებობას ღირსეულად უძლვება და არსად გადასვლას არ აპირებს.

**მედიანიუსი**

## ვაკის რაიონის გამგეობაში მომხდარი ქურდობის ფაქტი გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 4 აგვისტოს ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილის და მისი თანაშემწის ოთახიდან მოპარული ნივთები, — პერსონალური კომპიუტერი და ფოტოაპარატი ამოიღეს. ცნობილია ექვმიტანილის ვინაობაც.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, 1993 წელს დაბადებული ჯონი ჯ. მორიგეობის დასრულების შემდეგ გამგებლის მოადგილის — რამაზ ლომინაძის სამუშაო ოთახში შევიდა და ფარულად დაეუფლა მის პირად კომპიუტერს, ხოლო მისი თანაშემწის ოთახიდან „ნიკონი“-ს ფირმის ფოტოაპარატი წაიღო.

ამის შემდეგ ჯონი ჯ. თავის მეგობრებს — დავით ს.-ს და ვალერიან ც.-ს დაუკავშირდა და მათ მოპარული ნივთების ლომბარდში ჩაბარება სთხოვა. მოგვიანებით კი გაუმხილა, რომ კომპიუტერი და ფოტოაპარატი გამგეობის შენობიდან მოიპარა.

ჯონი ჯ.-ს მეგობრები დავით ს. და ვალერიან ც. მოწმის სახით დაიკითხნენ. თავად მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს კი ამ დრომდე ეძებენ.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე სსსკ-ს 177-ე მუხლის მე— 2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

## გიორგი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილს თავის შეკავებას ურჩევს



„ქრისტიან—დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურად არასტაბილური განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას ურჩევს. ამის შესახებ თარგამაძემ „ჯორჯიანთაიმსში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„მე ვურჩევ პრემიერ-მინისტრს, დროზე გადაწყვიტოს რამდენ ხანს აპირებს ხელისუფლებაში ყოფნას და რაც უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესს, ეს წაახალისებს ინვესტიციებსაც და შექმნის წინაპირობებს ბიზნესის განვითარებისთვის“, — განაცხადა თარგამაძემ.

**პირველი**

## სპორტსმენმა პოლიციელებმა ბელფასტში 5 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს

ბელფასტში მიმდინარე მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე, ქართველმა პოლიციელებმა კიდევ რამდენიმე მედალი მოიპოვეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე იოსებ ხუციშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. მან 75 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, ფინალურ ორთაბრძოლაში კი პერუელ მოჭიდავეს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. ძალოსანმა ვასილ მინდორაშვილმა 100 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი, ხოლო ავთო მამალაძემ 110 კგ წონით კატეგორიაში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებს უკვე 5 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი აქვს.

მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტული ოლიმპიადას, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, შინაგან საქმეთა სამინისტრო წელს, პირველად შეუერთდა. ოლიმპიადაზე შსს-ს 16 წარმომადგენელი გაემგზავრა, რომლებსაც წარმატებული სპორტული კარიერა აქვთ.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: „აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგისთვის მზად ვართ“

ნათია ხურცილავა

**თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია თავდაცვის სისტემის მოდერნიზებაზე საუბრობს. მინისტრი აცხადებს, რომ შენდება არმია, რომელიც ყველა გამოწვევას ადეკვატურად უპასუხებს.**

— შენდება არმია, რომელსაც თანამედროვეობისა და ჩვენი რეგიონის საფრთხეებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა ექნება ყველა გამოწვევას ადეკვატური პასუხი გასცეს, — ამბობს ალასანია.

გუშინ თავდაცვის მინისტრი სერჟანტთა სკოლას სტუმრობდა, სადაც ალასანიამ სერჟანტთა სკოლის ახალი მეთაური, მაიორი ლაშა დავითაძე წარადგინა.



— ბევრი რამ გაკეთდა სერჟანტების მომზადების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში. სერჟანტების კორპუსი, რომელიც შეიქმნა, არის ხერხემალი ჩვენი შეიარაღებული ძალების. სწორედ თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად გაწვრთნილი, მობილიზებული იქნება ჩვენი არმია და რამდენად აარიდებთ მომავალში, სწორი წვრთნების შემდეგ, ჩვენს ჯარს ბრძოლაში განსაცდელს. ჩვენ დავიწყეთ ახალი მომზადების ცენტრის მშენებლობა, დღევანდელი დღე ნიშანდობლივია იმით, რომ იცვლება მეთაური, ჩვენი სკოლის ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა, თავდაცვის სამინისტრო გააკეთებს ყველაფერს, რომ თქვენ თქვენი წვრთნებისთვის და პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად შეგიქმნათ პირობები, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ალასანიამ ახალი მომზადების ცენტრის მშენებლობაზეც ისაუბრა, რომელიც კოჯორში განთავსდება.

— ჩვენ დავიწყეთ ახალი მომზადების ცენტრის მშენებლობა და შექმნა დაბა კოჯორში. სამუშაოები, ახლა როგორც ვაკვირდებით, გეგმით დასრულდება და თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა ახალ პირობებში, უკეთეს პირობებში გააგრძელოთ ჩვენი ჯარისკაცების მომზადება, — განაცხადა ალასანიამ.

რაც შეეხება სერჟანტთა სკოლის ყოფილ მეთაურს, ის 23-ე ბატალიონის ხელმძღვანელად დაინიშნა და თავის საქმიანობას ავღანეთში, აისაფის ოპერაციებში გააგრძელებს.

ალასანიას განცხადებით, პოლიტიკა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ აირჩია, არის ის საფუძველი, რაზეც შემდგომი პოლიტიკური მოწესრიგება უნდა დაფუძნდეს.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგისთვის მზადაა.

— ამას წინ ელობებოდა ყოველთვის ჩვენი არაკეთილმოსურნე, რომ არ შემდგარიყო შინაარსიანი კონტაქტი, შერიგება და ნდობის აღდგენა მხარეებს შორის. ეს იყოს პრობლემა 20 წლის განმავლობაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიტიკა, რომელიც ახლა ავირჩიეთ — ადამიანური ურთიერთობების აღდგენა, საზოგადოებებს შორის ხიდების აღდგენა და სახალხო დიპლომატია არის ის საფუძველი, რაზეც შემდგომი პოლიტიკური მოწესრიგება უნდა დაფუძნდეს და ამას ვერც რუსეთი და ვერც ერთი სხვა მხარე ვერ შეუშლის ხელს, — განაცხადა ალასანიამ.

რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ ბოლო დროს გაკეთებულ შეფასებებსა და განცხადებებს, ამაზე თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ახალ ქართულ მთავრობას არც ჰქონია ილუზია, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტის შეხედულებები სწრაფად შეიცვლებოდა.

— რუსი პოლიტიკოსებისა და პრემიერის განცხადებაში სიახლე არ ყოფილა. 5 წლის წინ დიპლომატიური ბრძოლის ხაზი გაეროში გადიოდა, სადაც მე მაშინ ვმუშაობდი და აბსოლუტურად იგივე რიტორიკა იყო. მათ უნდოდათ საქართველოს იზოლაცია, საერთაშორისო თანამეგობრობა შეეყვანათ შეცდომაში, თითქოს ამ ომის მიზეზი იყო ქართული მხარის აგრესია, მაგრამ საბოლოო ჯამში სიმართლემ იზეიმა, ყველამ დაინახა, მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ, რომ სიმართლე არის ჩვენს მხარეს და დღესაც საერთაშორისო თანამეგობრობა, დიპლომატიური ელიტა და ზოგადად, სახელმწიფოების განწყობები, საქართველოს მხარდამჭერია. საერთაშორისო იზოლაციაში რუსეთი მოექცა, მათ ჩაუვარდათ თავიდან ბოლომდე აღიარების პოლიტიკა და დღეს იგივე რიტორიკა გვესმის. რაც შეეხება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან და თუნდაც ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არც გვქონია ახალ ქართულ მთავრობას ილუზია, რომ ამ საკითხებზე რუსეთის პოლიტიკური ელიტის შეხედულებები ასე სწრაფად შეიცვლებოდა. მე გამიკვირდა კიდეც, ისეთი ემოციური აჟიოტაჟი გამოიწვია მედვედევის განცხადებებმა. აქედან გამომდინარე, ერთადერთი სწორი გზა არის ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს — თანმიმდევრულად გავაგრძელოთ ჩვენი სახელმწიფოს შენება, ინსტიტუტების შენება, ეკონომიკის გაჯანსაღება და დარწმუნებული ვარ, რომ მართლაც ძლიერი დემოკრატიული საქართველო აფხაზებისა და ოსებისთვის უფრო მიმზიდველი იქნება და ევროპაში ჩვენთან ერთად ყოფნა მათ უფრო მოხიბლავთ, ვიდრე რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ დარჩენა, — განაცხადა ალასანიამ.

# გახდება თუ არა ქუთაისი მომაკვდავი ქალაქი

როლანდ ხოჯანაშვილი




საქსტატი საშინელებას აქვეყნებს— ეკონომიკა მინუსებშიაო, ხადური კი გვაიმედებს, ყველაფერი კარგად იქნება, მართალია, პირველმა ექვსმა თვემ ვერ გვაჩვენა საუკეთესო შედეგები, მაგრამ მომდევნო ექვს თვეში ნაკისრი ვალდებულებები ყველანაირად იქნება აღსრულებულიო (მათ შორის, სექტემბრიდან პენსიის მატებაც). ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო გარღვევები არ არის, ზოგგან კი მილიონიანი სეკვესტრია მოსალოდნელი. საქართველოს ეკონომიკა კიდევ კარგ დღეშია. ჯერ ედუარდის დროს აბრალიდნენ ,,მემარჯვენეებს“ ღვინომასალების კაპიკებად ხელში ჩაგდებას (სარაჯიშვილის მიერ დატოვებულ ალკოჰოლურ მასალებზე ვლაპარაკობ), ახლა კიდევ ზესტაფონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ზესტაფონის სამოქალაქო დარბაზმა“ კახა ბენდუქიძის საწინააღმდეგო ინფორმაცია გააჟღერეს: სოფელ საქარაში არსებული ისტორიული მარანი გააუქმებინა და 1905 წლიდან დამზადებული ღვინოები ჩალის ფასად შეიძინაო. ,,ზესტაფონის სამოქალაქო დარბაზის“ წევრმა ნაზი ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ 130 წლის წინ დაარსებული ღვინის მარანი წინა ხელისუფლებამ აგრარულ უნივერსიტეტს დაუქვემდებარა. მისივე თქმით, უნივერსიტეტის მეპატრონე კახა ბენდუქიძემ მარანი გააუქმა და ღვინოების თითო ბოთლი 19 თეთრად შეიძინა, მაშინ, როცა ერთი ბოთლი ღვინის ფასი 1000-დან 3000 დოლარამდე მერყეობს. თუ ამ არასამთავრობო ორგანიზაციას ვენდობით, უკვე 17 000 ბოთლი გასატანად გამზადებულია, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს. ანუ ამით იმას ვამბობ, რომ ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრე ლამაზად და მოხდენილად ჩაეშვა ერთეულების ჯიბეში. დღემდე ვერავინ პასუხობს კითხვას, ვისია ქართული მეტალურგიული წარმოება, როგორ გასხვისდა ჭიათურის მანგანუმი, ზესტაფონის ,,ფერო“ და ვარციხის ჰესის კასკადები. უსიცოცხლოა თერჯოლა, ვანი და ბაღდათიც. ცალკე საკითხია მარგვეთის ეპარქიაში არსებული სასულიერო პატრონაჟის ქვეშ მოქცეული ქონების გაჩუქება-გასხვისებანი. მოკლედ, იმერეთში მდგომარეობა ზედმეტად არასახარბიელოა. როცა ,,მარეგულირებელიც“ კი ოფშორებისკენ მიუთითებს ქართველ ბიზნესმამებს, არ გიკვირთ, როგორ შემოგვრჩა თუნდაც ის ეკონომიკა, რომელიც ახლა გვაქვს?!

ტურისტული ინფრასტრუქტურა ვერ მოვაწყვეთ. სადაც კი შეიძლებოდა ტურისტისთვის ფულის ჯიბიდან ამოღება, ყველგან პრობლემები დაგროვდა. შავიზღვისპირეთი წვიმისგან შეწუხდა, მთის კურორტები ძალიან ძვირია, შიდატურები და საერთაშორისოც ისეთი ძვირია, რომ მასზე საქართველოს მოსახლეობას, ძირითადად, ხელი არ მიუწვდება.

მრეწველობის დარგებიდან მხოლოდ კვების მრეწველობა ფეთქავს, რას ვიზამთ, ჩინელებისა არ იყოს, ჭამა ჩვენც ვისწავლეთ... ამდენი ლუდის წარმოება მის გასალებადობაზეც მეტყველებს, მაგის წყალი გადასხმია დანარჩენ დარგებსაც (იმერული გამოთქმაა: ბედნიერების წყალი გადმოგსხმოდესო)!

წყალტუბოდან ქუთაისში ახლა მარტო ქარები და, თუ არ ვცდები, 34 ნომერი სამარშრუტო მიკროავტობუსები დადის, არადა ერთი როგორი კურორტი იყო და მეორე, სხვა თუ არაფერი, საყოველთაოდ დასაძრახის ავტომობილებს უშვებდა. წყალტუბოში ათიოდე დღის წინ ვიყავი და იქაურობა მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბილ ქალაქს ჰგავს. სამშენებლო პოლიგონის შთაბეჭდილება უფრო დამიტოვა წყალტუბომ, ვიდრე კურორტის. დეტროიტი, მანქანათმშენებლობის დედაქალაქი, გაკოტრდა და თავი არავის მოუკლავს, ქუთაისის ,,კავზები“ რა მისატირებელ-სასამძიმროა, მაგრამ ავტოქარხანამ უამრავი ოჯახი არჩინა თავის დროზე მეფურად. რამდენიმე წლის წინ დაწყებულმა ქუთაისის გამეორდედაქალაქებამ ჩაილურის წყალი დალია: პარლამენტი გადააქვთ, ავტოქარხანა აღარ არსებობს, მსუბუქი მრეწველობის საწარმოები საწესჩვეულებო დარბაზებად გადააქციეს (არადა ქუთაისის ,,აბრეშუმკომბინატი“ საფრანგეთშიც კი აგზავნიდა ადრე ქართულ ხარისხიან აბრეშუმს). ქუთაისის ავტოინდუსტრიის აღორძინება ოცნების ზღვარსაც ბევრად სცილდება, რადგან მანქანათმშენებლობის გიგანტებს ქუთაისისხელა საამქროები აქვთ და მაინც უჭირთ კონკურენციისთვის გაძლება.

იმერეთის სამხარეო დანაყოფში ყველაზე დიდ ქალაქს ბიუჯეტის სეკვესტრი ემუქრება, დაახლოებით 6 მილიონი. ქუთაისის ბიუჯეტიდან უკვე დახარჯულია 64 მილიონი ლარი ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკურ და სოციალურ პროექტებზე. ეს თანხა ერთ სულზე გადაანგარიშებით 355 ლარია წლიურად, თვეში კი მხოლოდ 29 ლარი. თურმე ყოველწლიურად ქუთაისში ირიცხება უცხოეთიდან ტრანსფერულად საქართველოს მასშტაბით ჩამორიცხულის 6%, რაც რეალურად არის 87 მილიონი, ანუ წლიურად უცხოური ტრანსფერის სახით ერთ სულზე შემოდის 483 ლარი, თვის განმავლობაში 41 ლარი. დავაკვირდეთ და მივხვდებით, რომ საზღვარგარეთული ტრანსფერების გარეშე როგორი იქნებოდა ქუთაისში ცხოვრება? ლაპარაკი იმაზე, ემუქრება თუ არა ქუთაისს კრიზისი, უნდა ვთქვათ, რომ არა! რადგან ქუთაისი დიდი ხანია კრიზისშია. რამდენად წასწევს წინ ქუთაისს ნაგავსაყრელის საკითხის მოწესრიგება, ეს საკითხავიც არაა. ქუთაისელი მოსახლეობის აზრით, ნიკეას და აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სანაგვეების (აბაშიძის პროსპექტზე პარლამენტია, მაგრამ მასაც გაბრაზებულები სანაგვეს ეძახიან) გადატანა მატერიალურ კეთილდღეობას ვერ მოიტანს. პარლამენტის შენობის ფუნქციის შეცვლა მაინცდამაინც დიდი სარგებელი არ უნდა იყოს. მისი ნებისმიერი სახით გამოყენება ხარჯიანი იქნება (უკვე აყრილია ფილაქანი შესასვლელში, საშინელი ატმოსფეროა შენობაში და ელექტროენერგიის ხარჯიც დიდი აქვს).

მალე ქუთაისს გვერდს აუვლის ავტობანი. გამალებული სამუშაოები, რომლებიც ქალაქიდან დაახლოებით 2 კილომეტრში მიმდინარეობს, საფუძველი გახდება იმის, რომ ქუთაისში აღარ გაივლის სატრანზიტო და სამოქალაქო ტრანსპორტის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც თავისთავად ,,დაარტყამს“ ვაჭრობასა და დასაქმებას. ადრე, როცა ძირითადი რკინიგზის ხაზი აარიდეს ქუთაისს და სადგურ რიონზე გაატარეს, მალევე მიხვდნენ, რომ ცუდად მოიქცნენ—არარენტაბელური იყო ქუთაისისთვის სარკინიგზო არტერიიდან დაშორება, ახლა უკვე მშვიდ ქალაქს მივიღებთ, მგზავრთბრუნვაც და ტვირთბრუნვაც შემცირდება, რაც ჯიბეების გამოფხეკასაც გამოიწვევს და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ქალაქიდან გადაკარგვასაც.

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ უწყებას ქმნის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, უწყება აქტიურად მუშაობს საქართველოში საკომლო-საოჯახო მეურნეობების კოოპერირების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სექტორის განვითარებას და მნიშვნელოვნად დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში.

უკვე მიღებულია საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა შეიმუშავა. კანონი სრულად ამოქმედდება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

კანონის ამოქმედების პარალელურად, საკომლო-საოჯახო მეურნეობების კოოპერირების სწორად და ეფექტურად წარმართვის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ სტრუქტურას — სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ქმნის. აღნიშნული უწყება უფლებამოსილი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებითვის სტატუსის მინიჭებაზე, შეწყვეტასა და მონიტორინგზე, ამასთან განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებს.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, საკომლე და საოჯახო მეურნეობების კოოპერატივების შექმნა ხელს შეუწყობს წვრილი ფერმერული მეურნეობებისა და ფართობების გამსხვილებას. მიღებული კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატისვის სტატუსის მქონე იურიდიული პირები ისარგებლებენ საგადასახადო და სხვადასხვა სახის შეღავათებით, მათ შორის უფლება ექნებათ მიიღონ გრანტები. ფერმერებისა და გლეხებისთვის კოოპერატივებში გაერთიანება ნებაყოფლობითია.

**მედიანიუსი**

## უგულავამ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შეჩერებული მშენებლობა დაათვალიერა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ წლების განმავლობაში მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შეჩერებული მშენებლობა დაათვალიერა და სამუშაოების განახლების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მერიის ცნობით, „დელისი-უნივერსიტეტის“ ხაზის მშენებლობა 1985 წელს დაიწყო, ხაზი 1,5 კმ. სიგრძისაა და იქ ორი სადგურის („ვაჟა ფშაველა“ და „უნივერსიტეტი“), გვირაბებისა და ჩიხების მოწყობა იყო გათვალისწინებული. ერთი გადასარბენისა და სადგურ „ვაჟა ფშაველას“ მშენებლობა ღია მეთოდით ხორციელდებოდა, ხოლო მეორე გადასარბენის, სადგურ „უნივერსიტეტისა“ და ჩიხების მოწყობა დახურული მეთოდით შახტების მეშვეობით იგეგმებოდა.

1993 წელს უსახსრობის გამო, ხაზის მშენებლობა შეჩერდა და არსებული ნაგებობების კონსერვაცია მოხდა. მშენებლობა 1998 წელს განახლდა და 2000 წელს მეტრო სადგურ „ვაჟა ფშაველას“ ცალ გვირაბზე სამუშაოები დასრულდა, ხოლო დარჩენილი დაუმთავრებელი ნაგებობები — მშენებარე უბნის მთელ სიგრძეზე გაყვანილი გვირაბები, ნაწილობრივ აშენებული სადგურის ზედა ვესტიბიული, მოწყობილი მიწისქვეშა გასასვლელები, თუჯის ტუბინგებით აწყობილი საესკალატორო გვირაბი კი კონსერვაციის რეჟიმში იმყოფება.

კონსერვაციაში მყოფი ნაგებობების მოვლა-შენახვით სამუშაოებს 2007 წლის ჩათვლით, კომპანია „მეტრომშენი“ ახორციელებდა და საშუალოდ ამ სამუშაოებზე წლის განმავლობაში 500 ათასი ლარი იხარჯებოდა, ხოლო 2008 წლის შემდეგ, მოვლა-პატრონობას თბილისის სატრანსპორტო კომპანია არტეზიული წყლების ამოტუმბვას, გვირაბების ვიზუალურ კონტროლსა და შახტებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვით სამუშაოებს საკუთარი ხარჯებით ახორციელებს. აღნიშნულ უბანს კომპანიის 18 თანამშრომელი ემსახურება.

2000 წლიდან დღემდე აღნიშნულ სამუშაოებზე დაახლოებით 5 მლნ. ლარი დაიხარჯა.

**მედიანიუსი**

# ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილმა ამერიკის დაშანტაჟება დაიწყო“

## რატომ არის აუცილებელი ვადამდელი არჩევნები

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან

*— ბატონო ირაკლი, აგვისტოს ომის დღეებია და, მოდით, ჩვენი ინტერვიუც ამ თემაზე საუბრით დავიწყოთ. უკვე ხუთი წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან... ახალი ხელისუფლება თავიდან აქტიურად გვპირდებოდა, რომ აუცილებლად გამოიძიებდა ამ საკითხს, თუმცა დღეს აღარაფერს გვპირდება. თქვენი აზრით, როდის დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი?*

— მე მინდა, უპირველესად ყოვლისა, მივუსამძიმრო აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს ეს უდიდესი ტრაგედია და უდიდესი დანაკლისი, მათთვისაც და მთელი ჩვენი ქართველი ერისთვის. ეს ბიჭები მართლაცდა გმირულად იბრძოდნენ და გმირულად დაიღუპნენ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, როდის დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი. როცა ლაპარაკია სამართლიანობის აღდგენაზე, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ ვისაც ქონება წაართვეს უნდა დაუბრუნდეს ეს ქონება. ვინც უსამართლოდ დაიჭირეს, ის უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, ვინც დანაშაული ჩაიდინა წინა რეჟიმის დროს, ისინი უნდა გასამართლდნენ. ყველაფერი ეს, ცხადია, იგულისხმება ამ სამართლიანობის აღდგენაში, მაგრამ, პირველ რიგში, იგულისხმება ის, რაც თქვენ თქვით, რომ საგნებს უნდა დაერქვას თავისი სახელი. მოვლენებს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ამ შემთხვევაში ასევე იგულისხმება ისეთი მნიშვნელოვანი, მტკივნეული, ტრაგიკული, კატასტროფული შედეგების მქონე მოვლენა, როგორიც იყო 2008 წლის 8 აგვისტო. მე ვფიქრობ, ეს აუცილებლად მოხდება. ჩვენმა საზოგადოებამ სიმართლე კარგად იცის. ხალხს ვერავინ მოატყუებს. ყველამ კარგად იცის, რა მოხდა. რანაირი ტყუილებიც არ უნდა ილაპარაკონ პოლიტიკოსებმა, საქართველოში, რუსეთში თუ სხვაგან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოებამ კარგად იცის, რაც მოხდა. და მოხდა ის, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა განახორციელა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული თავისი მზაკვრული გეგმა საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს ტერიტორიების ფუნდამენტური ოკუპაციის, ვგულისხმობ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების ფუნდამენტურ ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას. რუსეთს ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებაში პირდაპირ ხელი შეუწყო სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მან მისცა საბაბი თავისი სამხედრო ავანტიურის წამოწყებით 2008 წლის 8 აგვისტოს. სწორედ მან მისცა რუსებს ის საბაბი, რომელიც მათ ასე ძალიან სჭირდებოდათ. საბაბის გარეშე ისინი ასე ვერ შემოიჭრებოდნენ თავისთავად ცხადია და ეს კოჭი სწორედ გაუგორა მიხეილ სააკაშვილმა. ამით სააკაშვილმა რუსებს გაუკეთა ისეთი საქმე, რასაც მათ ვერცერთი, არათუ პრორუსული ე.წ. ორიენტაციის პოლიტიკოსი ვერ გაუკეთებდა, ვერავითარი იგორ გიორგაძე თუ სხვა მისთანანი. ვერანაირი აგენტი ვერ გაუკეთებდა რუსეთს იმ საქმეს, რაც გაუკეთა სწორედ მიხეილ სააკაშვილმა. მე არ გამიკვირდება, რომ კრემლში ან სახელმწიფო სათათბიროში სადღაც მისი პატარა ბიუსტიც კი ედგათ მადლობის ნიშნად.

*— სააკაშვილი დღემდე ცდილობს, მოგებული ომის გმირად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და ათასგვარ სისულელესა და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს.*

— სააკაშვილისგან სისულელეების მოსმენას მიეჩვია უკვე ქართველი ხალხი. მთელი ევროპა რომ არ დაგვდგომოდა მხარში, რუსეთის ჯარი თბილისშიც შემოვიდოდა. ის, რომ რუსები შეჩერდნენ იგოეთთან და თბილისში აღარ შემოვიდნენ, სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის დამსახურება კი არ არის, ყველას კარგად გვახსოვს, როგორ გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილები და რუსები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოვიდნენ საქართველოს სიღრმეში. კოდორის ხეობა ხომ საერთოდ ერთი ტყვიის გასროლის გარეშე აიღეს. ის, რომ რუსები შეჩერდნენ, რა თქმა უნდა, ნიკოლა სარკოზის დამსახურება იყო ანუ ევროკავშირის. რომ არ ჩამოსულიყო სარკოზი, ევროპას რომ არ გამოეჩინა ეს აქტიურობა, რა თქმა უნდა, რუსეთის ტანკები შემოგრიხინდებოდნენ თბილისში. ასე რომ, სააკაშვილი მკერდში მჯიღს ნუ იცემს, თავის გმირობას ნუ მიაწერს რუსების შეჩერებას. ეს გააკეთა ნიკოლა სარკოზიმ.

*— რაც შეეხება მის ბრალდებებს ამერიკის მისამართით? ჯერ იყო 26 მაისი, ახლა აცხადებს, რომ ამ ომში ამერიკელები გვეხმარებოდნენ... ამით რისი მიღწევა უნდა?*

— მიხეილ სააკაშვილი მიდის სერიოზულ შანტაჟზე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მის ხელისუფლებას მფარველობდა. ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა, იგნორირებას უკეთებდა მთელ რიგ დანაშაულებს. უმძიმეს დანაშაულებზე დახუჭეს თვალი, რასაც ჩადიოდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი, ხელს აფარებდნენ, ათეთრებდნენ მის საქმეებს მთელ მსოფლიოში, აპოლოგიას უწევდნენ მას და ამან მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე. ახლა უკვე მიხეილ სააკაშვილი იმდენად თავხედი ადამიანია, დღემდე მფარველობენ ამერიკელები და, მიუხედავად ამისა, იმდენად შიში აქვს, ვაითუ გამასამართლონო, პირდაპირ შანტაჟს ეწევა ამერიკელების მისამართით, თუ მე რამე მომივა, თქვენ ჩაგიყოლიებთ ანუ თქვენც ჩირქს მოგცხებთო. პირველად ეს გააჟღერა ჯერ კიდევ შარშან, როდესაც თქვა, რომ ამერიკელები როკის გვირაბის დაბომბვას აპირებდნენ და ასე შემდეგ, მერე უკვე როდესაც თქვა, რომ ეფბიაის ჯგუფი მონიტორინგ უწევდა და, ფაქტობრივად, აკონტროლებდა ყველაფერს, რაც ეხებოდა 2011 წლის 26 მაისის მოვლენებს. როგორც ჩანს ის ამით მიუთითებს ამერიკელებს, რომ შეიძლება უფრო და უფრო მძიმე რაღაცები თქვას. ახლა რასაც ის ამბობს, ტყუილია, მართალია, ამაზე ვერავინ ვერაფერს ვიტყვით, ჩვენი შესაფასებელი ეს არ არის. სააკაშვილისგან ტყუილებს ისედაც მიჩვეული ვართ ჩვენ და ეს არც გაგვიკვირდება, თავისთავად ცხადია, მაგრამ სააკაშვილი ემზადება და ამერიკელებს ამზადებს რაღაც უფრო სერიოზული შანტაჟისათვის, მიუთითებს, თუ თქვენ არ დამიცავთ, შემიძლია, კიდევ უარესი რაღაცები ვთქვაო.

*— მაინც რა აქვს სათქმელი?*

— შეიძლება, ეს ლაფანყურის ამბებთან იყოს დაკავშირებული, პანკისის ხეობის ამბებთან. მე ვფიქრობ რომ უფრო აქეთკენ მიჰყავს სააკაშვილს ეს შანტაჟი. ეს ყველაზე მტკივნეული შანტაჟი იქნება სააკაშვილის მხრიდან.

*— რაა პოზიცია უნდა დაიჭიროს ამ შემთხვევაში ამერიკამ? რამდენად შეძლებენ, ასე ვთქვათ, მის განეიტრალებას?*

— ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ადმინისტრაციას სალი პოზიცია სააკაშვილის მიმართ რომ ცოტა უფრო ადრე დაეჭირათ, საქართველოს ამდენი უბედურება თავზე არ დაატყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან, ამას ჩვენთვის ჰქონდა, აქვს და ექნება უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ ეს მხარდაჭერა არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, მათ ტრადიციაში არის და იყო ასეთი ოდიოზური ლიდერებისთვის მხარდაჭერა, ვითომდა რაღაცა საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. გვახსოვს, რომ ამერიკელები სამოსასაც უჭერდნენ მხარს და იძახდნენ, რომ სამოსა ნაბიჭვარია, მაგრამ ჩვენი ნაბიჭვარია და კიდევ სხვა ასეთ პიროვნებებს უჭერდნენ მხარს და ეს, რა თქმა უნდა, არ არის სახარბიელო ფურცელი მათ ისტორიაში.

*— ბატონო ირაკლი, მოდით, გადავიდეთ ჩვენი ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. უნდა ითქვას, რომ იმედგაცრუება დაიწყო საზოგადოებაში. ამბობენ, რომ ამ კოჰაბიტაციას გადააყოლა ახალმა ხელისუფლებამ მთელი მისი დანაპირები. თქვენი აზრით, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ქვეყანაში?*

— სამწუხაროდ, ხელისუფლებამ აირჩია ძალიან მცდარი ლოზუნგი — ძალა კოჰაბიტაციაშია. შეიძლება, ასე გამოვთქვათ. ჩვენ გვახსოვს ნამდვილად სერიოზული ლოზუნგები, რომლებიც არსებობდა საქართველოში — ძალა ხალხშია და ასე შემდეგ, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა შეიძლება აღვნიშნოთ ასეთი სლოგანით — ძალა კოჰაბიტაციაშია. ამ პოლიტიკურმა კურსმა ეს ხელისუფლება შეიყვანა ჩიხში, ხალხის თვალში მოახდინა თანდათანობით მისი დისკრედიტაცია და ეს ფაქტია. ძალიან დიდი სისწრაფით მიდის ეს იმედგაცრუება, ძალიან დიდი სისწრაფით მიდის ოპოზიციური განწყობილებების ზრდა. მე მაინტერესებს, თვითონ ისინი რამდენად არიან ამის საქმის კურსში. მე ვგულისხმობ დღევანდელ ხელისუფლებას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად ხელისუფლება მთელ თავის მოღვაწეობას მარცხით ამთავრებს იმის გამო, რომ ის თავის ნაჭუჭში იკეტება, არ იცის, გარეთ რა ხდება და რაღაც ილუზორული წარმოდგენები აქვთ ხოლმე თავის შესახებ. ამიტომ მათ უნდა იცოდნენ, რა ხდება საზოგადოებაში, რეალურად რა ნეგატიური განწყობილებები ძლიერდება და შესაბამისი ნაბიჯები გადადგან, შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ. ახლა ეკონომიკა რომ უმძიმეს მდგომარეობაშია ამას სტატისტიკა არ სჭირდება. ნებისმიერ ადამიანს დაელაპარაკეთ, ნებისმიერ ტაქსის მძღოლს და ნებისმიერ მაღაზიის გამყიდველს და გეტყვიან ამას, მე მგონი, ჩვენც ძალიან კარგად ვგრძნობთ. სამართლიანობის აღდგენა პროფანაციას რომ განიცდის, ხალხში ეს აზრი არის უკვე დამკვიდრებული და პლუს ამას ემატება ის, რომ საგარეო ასპარეზზეც არის აბსოლუტურად გაურკვეველი ვითარება. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომლის ავტორიტეტზეც დგას დღეს სახელმწიფო, აცხადებს, რომ წასვლას აპირებს თანამდებობიდან, ხელისუფლებიდან და რა გვრჩება ჩვენ სამომავლოდ, პერსპექტივაში?! პერსპექტივაში გვრჩება სრული გაურკვევლობა, რომელიც შეიძლება საერთოდ ქაოსისკენ წავიდეს და ასეთ ვითარებაში სავსებით გასაგებია, რომ ჩვენთვის ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს სამომავლო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც კარს მოგვადგა.

*— ბატონო ირაკლი, ამ თემასაც შევეხებით აუცილებლად, თუმცა მანამდე ამოვწუროთ ძველი თემა, საზოგადოებაში ძალიან დიდი შიში გაჩნდა იმისა, რომ ნაციონალები კვლავ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და ამაში ხელს ახალი ხელისუფლება უწყობს, ხელოვნურად მის რეანიმაციას ახდენსო...*

— კი, ფაქტობრივად, ეს შიშები არსებობს. თუკი ორი თვის წინ და სამი თვის წინ არავინ იტყოდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას დაბრუნების შანსი აქვს, დღეს ეს განწყობილებები ძლიერდება. თუმცა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ერი ამას არ დაუშვებს, ყველაფერი იმ უბედურებისა და სიმახინჯის მერე, რაც გადავიტანეთ ჩვენ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, როგორც იტყვიან და ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად, რომ ეს არ დავუშვათ. ამასთან ერთად, ჩვენ გვჭირდება სერიოზული ცვლილებები, წინსვლა. რა თქმა უნდა, ჩვენ მადლიერნი ვართ ბატონი ბიძინასი, რომ არა ის, ჩვენ ამ ჭირს ვერ მოვიშორებდით, რასაც ერქვა ნაციონალური მოძრაობის მმართველობა, მაგრამ ჩვენ გვჭირდება წინ მოძრაობა და არა სტაგნაცია, არა ერთ ადგილზე ბუქსაობა. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპრეზიდენტო არჩევნებს.

*— რამდენად გჯერათ თქვენ იმ მოარული ხმების, რომ ივანიშვილზე სერიოზული ზეწოლა მიმდინარეობს დასავლეთის მხრიდან?*

— საერთოდ, პოლიტიკოსი როცა ხარ და როცა სერიოზული ბერკეტები გაქვს ხელში, ეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ზეწოლას ყოველთვის ექნება ადგილი. ხელისუფალი დალხენით სავარძელში ვერასდროს იჯდება, თუ გიჟი არ არის. მასზე ყოველთვის ათასნაირი ფაქტორი ზემოქმედებს და ჭეშმარიტი ხელისუფლის მთელი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ მან ყოველთვის უნდა შეძლოს სწორი ორიენტირება და ყოველთვის იმ გადაწყვეტილებების გატანა, რომელიც არის ქვეყნის ინტერესების სასარგებლო.

*— ბატონო ირაკლი, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, თქვენთვისაც ცნობილია, რომ უხვად გვყავს კანდიდატები, თუმცა, ამის მიუხედავად, ამბობენ, რომ სამი ძირითადი კანდიდატია: ნინო ბურჯანაძე, გიორგი მარგველაშვილი და ასევე დავით ბაქრაძე, რომლის აქტიურ კანდიდატად წარმოჩენასაც ცდილობენ.*



— დავით ბაქრაძეს რაც შეეხება, უბრალოდ, ხელისუფლების სურვილიც არის, რომ ის გახადოს რაღაც სერიოზულ ფიგურად, სერიოზულ კანდიდატად, სერიოზულ კონკურენტად. თუმცა, არა მგონია, ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხმა მისცეს დავით ბაქრაძეს და დაივიწყოს ყველა სამარცხვინო ფურცელი ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში, რაც დაკავშირებული იყო სწორედ დავით ბაქრაძის პარტიის მმართველობასთან და პარტიის, რომლის კანდიდატსაც ის წარმოადგენს. მე არ გამოვრიცხავ, დღევანდელ ხელისუფლებაში და თავად კოალიციაში ძალიან ბევრს არ აწყობდეს, რომ მათი მთავარი კონკურენტი იყოს ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, მაგრამ რეალურად მთავარი კონკურენტები არიან ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ბატონი გიორგი მარგველაშვილი. გიორგი მარგველაშვილი იმდენად, რამდენადაც მის უკან დგას ბატონი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა. ეს იქნება ძალიან სერიოზული ბრძოლა, სერიოზული არჩევნები. ჩვენს ხალხს მართებს სერიოზული დაფიქრება და ისე გაკეთება თავისი არჩევანის. დაფიქრება იმაზე, რა გველოდება. რა პერსპექტივა ისახება ჩვენ წინაშე და ამ გაურკვევლობის ფონზე, რაც დღეს ყალიბდება საქართველოში, როდესაც შეიძლება მართლაცდა ნელ-ნელა წავიდეთ პოლიტიკური ქაოსისაკენ, როგორი პრეზიდენტი გვჭირდება დღეს? ძლიერი პრეზიდენტი თუ სიმბოლური წარმომადგენლობითი პრეზიდენტი? აი, ეს არჩევანი ჩვენმა ხალხმა თვითონ უნდა გააკეთოს.

*— ამბობენ, რომ საკმაოდ მზარდი რეიტინგი აქვს ნინო ბურჯანაძეს.*

— გეთანხმებით, საკმაოდ მზარდი რეიტინგი აქვს და ამას ყველა ხედავს. თბილისში, რეგიონებში, ყველგან ეს ტენდენცია მიდის. მასობრივად მიდის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ჩვენ ხმას მივცემთ ნინო ბურჯანაძეს.

*— თუმცა, იმაზეც საუბრობენ, რომ ამ შემთხვევაში საკმაოდ ემთხვევა ნაციონალებისა და ახალი ხელისუფლების ინტერესები და ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას.*

— დიახ, შესაძლოა, მათი ინტერესები სერიოზულად დაემთხვეს და ისინი ყველაფერზეც წავიდნენ, მაგრამ ამას სჭირდება კონტრზომები სწორედ ჩვენი მხრიდან.

*— რა იქნება ეს კონტრზომები?*

— კონტრზომები არის ის, რომ არჩევნები არ უნდა გაყალბდეს და არ უნდა დავუშვათ ჩვენ ადამიანებზე, ამომრჩევლებზე ბრძოლა ადმინისტრაციული რესურსით. თუმცა ეს ძალან რთული ამოცანაა, თითქმის ძნელად მისაღწევი, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისათვის.

*— როდესაც ივანიშვილი აცხადებს, რომ მიდის და პრეზიდენტად სურს, დაგვიტოვოს მარგველაშვილი, რომელსაც არ აქვს დიდი პოლიტიკური გამოცდილება, ეს რამდენად სწორია?*

— როდესაც ბატონი ბიძინა ამბობს, რომ წასვლას აპირებს და, როგორც ჩანს, ეს მისი მტკიცე გადაწყვეტილებაა, ხალხში უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდება და ჩნდება უფრო მეტი სასოწარკვეთილების გრძნობა. თავისთავად ცხადია, ჩვენი საზოგადოება სრულ გაუგებრობაში ვარდება. დღეს კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმას, რომ საქართველოში არის პოლიტიკურად სრული გაურკვევლობა და ეს ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს და პოლიტიკური ქაოსისკენაც წავიდეს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ქვეყანას არ ეყოლება ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს ყველა იმ რესურსის, ყველა იმ ბერკეტის გამოყენებას, რომელიც იქნება საჭირო ქვეყნის ინტერესებისათვის.

*— საუბრის ბოლოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებაც გკითხავთ. ამბობენ, რომ ძალიან მალე დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი. ისიც ცხადია, რომ უმრავლესობა ამას მხარს არ უჭერს. რამდენად გაიზიარებენ ხალხის სურვილსა და მოთხოვნას?*

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რომ ჩასატარებელია, ეს ორჯერ ორი ოთხია, ვინაიდან დღევანდელ პარლამენტში ძალთა განლაგება არანაირად არ ასახავს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. არ შეიძლება, კრიმინალური დაჯგუფება ნაცმოძრაობის სახით წარმოადგენდეს დღეს ოპოზიციას საქართველოში. ეს დაუშვებელია. რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ რამდენად შედის ხელისუფლების ინტერესებში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ჩემთვის უცნობია.

# „დავით აღმაშენებლის ძეგლი ვარდების მოედანზე უნდა დაბრუნდეს“

შორენა მარსაგიშვილი

ალბათ, ყველას გახსოვთ, ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი თავს ხშირად დავით აღმაშენებელს ადარებდა. მერე, ეტყობა, მიხვდა, რომ დავითობა არც ისე იოლი იყო და დიდ მეფეს ოპოზიციაში ჩაუდგა, ყოველ შემთხვევაში, მისი ძეგლები თბილისისა და ქუთაისის ცენტრებიდან გაიტანა. თბილისში, სადაც დიდი მეფის ძეგლი იდგა, ველოსიპედის ძეგლი წამოჭიმეს, ქუთაისში კი იმ მიდამოებში ველოტრასა მოაწყვეს, სადაც ერთხელ სააკაშვილმა გაინავარდა თავის ოჯახობასთან ერთად.

თბილისიდან დავით აღმაშენებლის ძეგლის გატანას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ისინი აქციებსაც მართავდნენ. მათმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო. ეს ვარდების რევოლუციის გარიჟრაჟზე ხდებოდა და მაშინ მოსახლეობის უმეტესობა სააკაშვილზე გიჟდებოდა, მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი ჭეშმარიტებად და სამართლიანად მიაჩნდათ.

ადგილს, სადაც ადრე დიდი მეფის ძეგლი იდგა, რესპუბლიკის მოედანი ერქვა. ნაციონალებმა მას ვარდების რევოლუციის სახელი მიანიჭეს. ცოტა ხნის წინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოედანს მალე ძველ სახელს დაუბრუნებენ.

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ კი „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე დაბრუნების ინიციატივით გამოვიდა. როგორც ასამბლეაში აცხადებენ, რამდენიმე დღის წინ თბილისის საკრებულო „ვარდების რევოლუციის“ მოედნისათვის სახელის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა. „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ აღნიშნულ ფაქტს ეხმაურება და მოედნისათვის დავით აღმაშენებლის მოედნის დარქმევისა და დავით აღმაშენებლის ძეგლის აღნიშნულ მოედანზე დაბრუნების ინიციატივით გამოდის.

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ უდიდესი მოღვაწე, დიდი ქართველი, მსოფლიოში აღიარებული მოქანდაკე, ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, ასამბლეის მეგობარია და მიგვაჩნია, რომ ბერძენიშვილის ეს ქმნილება თბილისის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე უნდა დაბრუნდეს და აღნიშნულ მოედანს დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდოს, — განაცხადა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ფერდინანდ ლორთქიფანიძემ.

მისივე ცნობით, „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ ჟენევის კონვენციით მოსკოვში იყო დარეგისტრირებული. გუშინ ორგანიზაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისში. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ორგანიზაცია საქართველოში დიდი კონგრესის ჩატარებას გეგმავს. „საქართველოს ხალხთა ასამბლეას“ დაგეგმილი აქვს პროექტების განხორციელება, რომლებიც, როგორც ასამბლეაში აცხადებენ, პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ოსეთის, რუსეთისა და საერთოდ კავკასიის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნების აუცილებლობაზე რამდენიმე დღის წინ საგანგებო მიმართვა გაავრცელა თემურ შაშიაშვილმა. სხვათა შორის, ის აწყობდა აქციებს ძეგლის გატანის წინააღმდეგ. პარტია „თეთრების“ ლიდერი ფიქრობს, რომ ძეგლის დაბრუნებით ღირსების დაბრუნებაც დაიწყება.

— სახელმწიფოსთვის აგვისტოსთან დიდი ამაღლებაც არის დაკავშირებული და დიდი დაცემაც.

მეფეთმეფე დავით აღმაშენებელმა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორზე აამაღლა საქართველო და, პირდაპირ ვთქვათ, გადაარჩინა ევროპული ცივილიზაცია.

სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა შევარდნაძემ 1993 წლის 15 აგვისტოს გაუაზრებლად დაიწყო სამხედრო ოპერაცია აფხაზეთში, რასაც ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოჰყვა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წამოეგო პროვოკაციას და გადადგა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი — 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, რამაც საქართველოსთვის დამანგრეველი როლი



ითამაშა.

შემთხვევით არაფერი ხდება. როცა ხალხი უფლებას ვაძლევთ ხელისუფალს, მოიქცეს ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი მოექცა დავით აღმაშენებლის ძეგლს თბილისსა და ქუთაისში — ვიღებთ იმას, რა ყოფაშიც ვართ.

წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლისადმი დამოკიდებულებაში ხელისუფალმა ჩაიდინა უკანონობაც, გამოხატა ხალხისადმი უპატივცემულობა, მოიქცა უზნეოდ, ჩაიდინა მკრეხელობა. მძიმე შეფასებები გავაკეთე, მაგრამ გავაანალიზოთ და დავფიქრდეთ:

პირველი — მსოფლიო გამოცდილებით, წმინდანთა ძეგლის დადგმის, მისი გადაადგილებისა თუ აღების გადაწყვეტილებას იღებს სასულიერო იერარქიის უმაღლესი ორგანო, უმაღლესი სასულიერო პირი. დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში მოხდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით.

დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ძეგლის გადატანა მოხდა პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე. ეს არის მკრეხელობა.

მეორე — მსოფლიო გამოცდილებით, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ფორმაციის დროს ძეგლის, მით უფრო მეფის ძეგლის დადგმის, გადაადგილებისა და აღების გადაწყვეტილებას იღებს ქვეყნის უმაღლესი საერო ხელისუფალი.

როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში ძეგლის დადგმა მოხდა პრეზიდენტის ბრძანებულებით.

დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ძეგლის გადატანის გადაწყვეტილება არათუ პრეზიდენტს არ მიუღია, არამედ — არც ერთ სახელისუფლებო ორგანოს. არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ძეგლის გადატანის გადაწყვეტილებას.

ეს არის უკანონობა.

მესამე — მსოფლიო გამოცდილებით, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ძეგლის დადგმის, გადატანის და აღების თაობაზე ეთათბირებიან მოსახლეობას, უფრო მეტიც, რეფერენდუმებს ატარებენ.

დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის არც თბილისში და არც ქუთაისში არაფერი უკითხავთ, ძეგლი ისე გადაიტანეს.

ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, ხალხის უპატივცემულობა, აბუჩად აგდება და ამპარტავნობა.

მეოთხე — ანუ ის, რასაც ჰქვია ხელისუფლის უზნეობა. თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლის ავტორი არის მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე, ეროვნული სულის კაცი, მერაბ ბერძენიშვილი. ქუთაისში ძეგლის ავტორია აწ გარდაცვლილი, ასევე დიდ მოქანდაკედ აღიარებული ელგუჯა ამაშუკელი. მისი მეუღლე გახლავთ გამორჩეული პოეტი, ასევე დიდი ეროვნული განწყობის პიროვნება, ლია სტურუა.

არც მერაბ ბერძენიშვილისათვის და არც ელგუჯა ამაშუკელის ოჯახისთვის არ უკითხავთ ძეგლების გადაადგილება.

ძნელია, ანალოგი მოუძებნო ხელისუფლის ასეთ თავხედობას, როცა ერთდროულად საქმე გვაქვს მის მკრეხელობასთან, უკანონობასთან, უზნეობასთან, ხალხისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებასთან.

სამართლიანობა უნდა აღდგეს. ძეგლი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც ის აკურთხა უწმიდესმა და უნეტარესმა, სადაც მოხდა მისი დადგმა ავტორებთან შეთანხმებით და მათი ნება-სურვილით, სადაც ხალხი თვლიდა და თვლის, რომ უნდა იდგეს წმიდა მეფის ძეგლი — შუაგულ ქალაქში.

ჩვენ ეს პოზიცია გვქონდა, არ შეგვიცვლია და 5 აგვისტოს კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხვალ იმართება ახლად არჩეული თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრა არქიტექტორებთან. მისასალმებელია დათათბირების ასეთი კულტურის დამკვიდრება თბილისის საკანონმდებლო ორგანოში. მინდა ვიფიქრო, რომ ეს საგანგებო განხილვის საგანი იქნება და არ ვეჭვობ, რომ გადაწყვეტილებაც ღირსეული იქნება მიღებული: დავით აღმაშენებლის ძეგლი დაბრუნდება მის კუთვნილ ადგილზე და მოედანს დაერქმევა დავით აღმაშენებლის მოედანი, როგორც ეს ხალხმა დაარქვა 1995 წლიდან და უარყოფილი იქნება საკრებულოს წევრთა ერთი ნაწილის მოსაზრება ყოფილი რესპუბლიკის მოედნისათვის და დღეს „ვარდების რევოლუციის“ მოედნისათვის „ევროპის მოედნის“ სახელის მინიჭების თაობაზე.

„თეთრები“ ამ იმედით ვართ და ეჭვი არ გვეპარება, რომ 12 აგვისტოს სწორედ დავით აღმაშენებლის მოედნიდან გავემგზავრებით დიდგორზე, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართველთა დიდი გამარჯვება დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით. ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ დიდგორის გამარჯვებამ გადაარჩინა ევროპული ცივილიზაციაც.

ჩვენ ამ განცხადებას შეგნებულად ვაკეთებთ საქართველოს ტრაგედიის დღეს, 8 აგვისტოს — ეს არის ჩვენი ფიქრი მომავლის საქართველოზე, საქართველოს იმ სიმაღლეზე, რომლის აღება შეძლო დავით აღმაშენებლის საქართველომ აგვისტოში ათი საუკუნის წინ, — ნათქვამია თემურ შაშიაშვილის განცხადებაში.

ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ახალი ხელისუფლება. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ აღმაშენებლის ძეგლი იქ უნდა დარჩეს, სადაც ახლა დგას.

# გია ვოლსკი: „ბაქრაძეს სააკაშვილისგან გამიჯვნა სურს“

შორენა მარსაგიშვილი



ბოროტი ხმები და სანდო წყაროები უკვე დიდი ხანია იუწყებიან, რომ

ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად დაიშლება. მართალია, ნაცმოძი ბევრმა ადამიანმა დატოვა, მაგრამ პარტია ისევ მყარად დგას ფეხზე. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა მიმდევრებმა არაერთხელ დაგვიბარეს, ნაციონალების გაუქმებას ვერ ეღირსებითო.

პოლიტიკური პარტიების ნაწილი ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა. სამართლიანობის აღდგენის ნოტაზე მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ აღზევებისთანავე დაამუხრუჭა და კოჰაბიტაციის რეჟიმზე გადავიდა. მათგან არაერთხელ მოგვისმენია, რომ ნაცმოძის გადარჩენა ქართულ დემოკრატიას ესაჭიროება.

ქართული დემოკრატიისა რა გითხრათ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ კი მართლაც აწყობს ნაცმოძის არსებობა. სად ის, რომ ნაციონალები გაკრიტიკებენ და სად ის, როცა ნაღდი ოპოზიცია გაყრის ქოქოლას.

ნაცმოძის გასამართლება, ალბათ, არ მოხდება, მაგრამ რამდენიმე ჯგუფად კი ნამდვილად გაიყოფიან. უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ფიქრობს, რომ დავით ბაქრაძეს ნაცმოძისგან განდგომა სურს.

როგორც გია ვოლსკიმ გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ბაქრაძის ბოლო დროინდელი განცხადებები ამის ნათელი მაგალითია, თუმცა ეს გამიჯვნა წარმოუდგენელია.

— ბაქრაძე, როგორც „ნაციოანლური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი, არის უკიდურესად უხერხულ მდგომარეობაში, რადგანაც თვითონაც მონაწილეა ყველა პროცესის. მთელი მისი სტრატეგია, ბოლო განცხადებებს თუ დააკვირდებით, მიმართულია იქითკენ, რომ საზღვარი დაუდოს მისი და ნაციონალური მოძრაობის გუნდის პოზიციას. მას სურს, სააკაშვილის გაემიჯნოს, მაგრამ ეს წარმოუდგენელია, რადგანაც ეს ქვეყანაც არ არის ჩალით დახურული. ბაქრაძე უსახო პოლიტიკოსი იყო იმ პერიოდისთვის და ახლა ჰპირდება საზოგადოებას, რომ იქნება სახიერი და პრინციპული. ამიტომაც ბაქრაძეს უკან საკმაოდ მძიმე პერიოდის შლეიფი მოჰყვება, — აცხადებს გია ვოლსკი.

დავით ბაქრაძეს, შესაძლოა, მართლაც სურდეს სააკაშვილისგან გამიჯვნა. ის ნაციონალებს შორის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ხალხის გაღიზიანებას არ იწვევს.

ამასთან, ხალხს არ ავიწყდება მისი გენიალური განცხადება, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატმა აგვისტოს ომის დროს გააკეთა. დავით ბაქრაძეს იმჟამად პარლამენტის სპიკერის პოსტი ეკავა. მან საქართველოს მოსახლეობას დანა-ჩანგლის ხელში აღებისა და რუსებთან შეტაკებისკენ მოუწოდა.

რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, დავით ბაქრაძეს ამ ფრაზას უფრო ხშირად გაუხსენებენ. ოქტომბრის არჩევნებს მართლაც ყველა მოუთმენლად ელოდება. მეოცნებეები გვპირდებიან, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება და ეკონომიკაც კი აყვავდება.

ოქტომბრის არჩევნებს გია ვოლსკიც ელოდება. მისი აზრით, ამის შემდეგ ყველაფერი დალაგდება, რადგანაც სააკაშვილი საბოლოოდ ჩამოსცილდება ხელისუფლებას. ვოლსკის განცხადებით, სააკაშვილს ახალი ხელისუფლებისთვის ომი აქვს გამოცხადებული.

— ნაციონალური მოძრაობის გარკვეული ჯგუფი სააკაშვილის მეთაურობით ხვდება, რომ უშველებელი შეცდომა იქნა დაშვებული მაშინ, როდესაც გააკეთა განცხადება, რომ ის ოპოზიციაში გადადის და ამით ომი გამოუცხადა ახალ ხელისუფლებას. ეს ომი დღესაც მიმდინარეობს და თან საკმაოდ მძიმე შედეგებით, რადგანაც საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ მძიმე დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა მოხდეს რეალური ინფორმაციის ჩატანა. უდიდესი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ საზოგადოებას დავანახვოთ ის რეალობა, რომელიც ქვეყანაში არსებობს, რათა მთელი მსოფლიო გამოვიდეს იმ პროპაგანდისტული ტალღის გავლენისგან, რომელიც ასე მძლავრად მიდიოდა წინა ხელისუფლების მხრიდან დასავლეთის მისამართით. მიზანი მიღწეულია, მაგრამ პოზიტიური შედეგები ჯერ კიდევ არ არის, როდესაც საუბარია უცხოურ ინვესტიციებზე. დღეს რეალურად ყველა ელოდება ოქტომბრის არჩევნებს, — აცხადებს ვოლსკი.

ოქტომბრის არჩევნებს ნაციონალებიც ელოდებიან და იმედი აქვთ, რომ მათი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილს დაამარცხებს. ეს მოსაზრება მეოცნებეებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით, თუმცა მთლად საკისკისოდაც არა აქვთ საქმე.

გუშინ „ნეტგაზეთმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ფეისბუქზე“ ბაქრაძეს მარგველაშვილზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს.

გამოცემის ცნობით, გიორგი მარგველაშვილს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ თავისი ოფიციალური გვერდი არ აქვს. დავით ბაქრაძის ოფიციალური გვერდი კი ბოლოს 9 აგვისტოს განახლდა.

დავით ბაქრაძის ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე 2011 წლის 31 მაისს შეიქმნა. პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობაზე ყოფნის დროს „ფეისბუქის“ მეგობრებს პირადადაც შეხვედრია, 82 ათასამდე მომწონებელი ჰყავს. მისი გვერდი ბოლოს გუშინ განახლდა. გვერდზე ქვეყნდება ტექსტური, ვიდეო და ფოტომასალა, რომელიც ბაქრაძის აქტივობებს უკავშირდება.

ოფიციალური გვერდის გარდა, დავით ბაქრაძეს პირადი პროფაილიც აქვს. მასზე, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის საოჯახო სურათის გარდა, მისი ვიდეოგამოსვლები, ოფიციალური შეხვედრების ამსახველი ფოტოები, ამომრჩეველთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალაა განთავსებული. დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანია „ფეისბუქზე“ თავის გვერდზეცაა გაშლილი. ბმულებს უმეტესად დადებითი კომენტარები მოსდევს, თუმცა არის კრიტიკული და სალანძღავი გამოხმაურებებიც.

არაოფიციალური გვერდი „ჩვენ ვირჩევთ საქართველოს პრეზიდენტად დავით ბაქრაძეს“ „ფეისბუქს“ 2013 წლის 28 ივნისს შეუერთდა, ხოლო ბოლოს 24 ივლისს განაახლა ადმინისტრატორმა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიმართ კრიტიკულ შეფასებებს აკეთებს.

აღნიშნულ გვერდზე რასმუსენისა და ბაქრაძის ფოტოები, „ნანუკას შოუში“ სტუმრობის ამსახველი ვიდეოჩანაწერია გამოქვეყნებული. გვერდს 344 მომწონებელი ჰყავს.

მეორე არაოფიციალურ გვერდს „დავით ბაქრაძე პრეზიდენტად“ 70 მეგობარი ჰყავს. გვერდი 2013 წლის 5 ივლისიდან არსებობს.

გიორგი მარგველაშვილს არ აქვს ოფიციალური გვერდი, მაგრამ მრავლადაა „ფეისბუქზე“ მისი მხარდამჭერების მიერ შექმნილი არაოფიციალური გვერდი.

არაოფიციალური ჯგუფი გიორგი მარგველაშვილი გისმენთ მეგობრებო!

ჯგუფის აღწერაში გიორგი მარგველაშვილის ბიოგრაფიის შესახებ წერია, თუმცა არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ვის ან რა საკითხზე უსმენს პრეზიდენტობის კანდიდატი. ჯგუფი, რომელიც ყველასთვის გახსნილია, 2013 წელს შეიქმნა. მასში 1 492 ადამიანია გაწევრიანებული.

გვერდზე თემატური მრავალფეროვნებაა. გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებული საინფორმაციო სიახლეების გარდა, ნინო ბურჯანაძის მოსაზრებისა და დეოკუპაციის მოთხოვნასთან ერთად, ენრიკე იგლესიასისა და უიტნი ჰიუსტონის დუეტსაც შეხვდებით.

„გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტად“ გვერდს 12 მომწონებელი ჰყავს. გვერდის ანოტაციაში წერია, რომ გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერები არიან. ჯგუფი 2013 წლის 20 მაისს შეიქმნა.

ჯგუფი გიორგი მარგველაშვილი 4,580 გულშემატკივარს აერთიანებს. აღნიშნული გვერდიც არაოფიციალურია. იგი 2013 წლის 28 ივნისს განახლდა ბოლოს.

„გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად“ 443 ადამიანს მოსწონს. გვერდი 2013 წლის 13 ივლისს შეიქმნა.

გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერთა ჯგუფი 713 წევრი. 2013 წლის 31 მაისს შეიქმნა. გვერდზე გიორგი მარგველაშვილის შეფასებები და კომენტარებია გაზიარებული. მომხმარებელთა კომენტარები ერთგვაროვანია — დადებითი. დავით ბაქრაძის პირადი პროფაილისა და ოფიციალური გვერდისგან განსხვავებით, განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების კრიტიკული შეფასებები არ ისმის.

# სააკაშვილის მმართველობისას 1300 სკოლა დაიხურა

## ვინ დააბრუნებს სკოლებში პოლიტნიშნით გათავისუფლებულ პედაგოგებს?

მერი ნამორაძე

**განათლებისა და მეცნიერების სისტემის თანამშრომლებს „განათლების ლიგა", „პედაგოგთა და მშობელთა ასოციაცია" და თბილისის პედაგოგთა გაერთიანება სამართლიანობის ერთობლივად აღდგენისკენ მოუწოდებენ და 2013 წლის 11 აგვისტოს, დღის სამ საათზე მთავარი პროკურატურის შენობის წინ ეპატიჟებიან, რათა შეუერთდნენ მოთხოვნას მთავარი პროკურორის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომის შესახებ.**

ამის შესახებ განცხადება არასამთავრობო ორგანიზაციებმა სტუდია „რეპორტიორის" პრეს-კლუბში გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ყველაზე მეტად განათლების სისტემაშია დარღვეული სამართლიანობა. როგორც საქართველოს განათლების ლიგის ხელმძღვანელმა, მანანა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, ათი ათასობით განათლების მუშაკია გათავისუფლებული სამსახურიდან, პედაგოგი იქნება ეს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები თუ მეცნიერები. ამასთან დატაცებულია ათასობით შენობა, ბაგა-ბაღები იქნება, სკოლის შენობები თუ პროფტექნიკური სასწავლებლის შენობები. ნიკოლაიშვილის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება აყენებს საკითხს, რომ უკანონოდ გაიყიდა და ნაციონალური პარტიის ელიტას აქვს მიკუთვნებული ეს შენობები, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის საკითხს აღარ აყენებს:

— მიტაცებულია სკოლები, ასევე ერთ ლარად აჩუქა სააკაშვილმა ასეულობით სკოლის შენობა და უპრეცედენტო რამ მოხდა — 1300-ზე მეტი სკოლაა დახურული ქვეყანაში სააკაშვილის მმართველობის დროს. პედაგოგიკის ისტორიაში ასეთი რამ არ არსებობს. ეს ყველაფერი მიტაცებულია უკანონოდ. მოგეხსენებათ, სკოლა მარტო შენობა არ არის, ის დამაგრებულია მიწაზე და ათეულ ათასობით ჰექტარი მიწაა დატაცებული როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. უმაღლესი სასწავლებლების ფართებიც გაყიდულია და ასევე მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტები, — აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

ნიკოლაიშვილის თქმით, ახალმა ხელისუფლებამ 800-ზე მეტ პედაგოგს კი დაარქვა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული, მაგრამ მათ სამუშაო ადგილზე დასაბრუნებლად ბევრი არაფერი გააკეთა. ამის მაგალითად ლია ნიკოლაიშვილი მოიყვანა, რომელიც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულად სასამართლომ აღიარა და კიდეც მოიგო პროცესი, მაგრამ აღსრულება დღემდე არ დამდგარა. ამის მიზეზად „განათლების ლიგის" ხელმძღვანელმა უძრაობის ხანის დადგომა დაასახელა, რომელსაც ამჯერად ივანიშვილის მთავრობა ამკვიდრებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ პედაგოგთა საქმის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელი, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგლიჩიძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან, შედეგი მაინც არ არის.

განათლების სისტემაში დღემდე არიან ადამიანები, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმე განზრახ აღუძრეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და დღემდე არ მოხსნიათ ბრალდება. ამის მაგალითად ნიკოლაიშვილმა 4 სხვადასხვა დარგში წიგნების ავტორი, ბატონი ვახანია მოიყვანა: — საწევრო რატომ გადაურიცხეო, როცა დააყადაღა ერთ-ერთი პროფკავშირი ხელისუფლებამ, 36 ლარისა და 19 თეთრის გამო ასეთ ცნობილ პროფესორს სისხლის სამართლის საქმე აღუძრეს. ეს მოხდა შაშკინის დროს. ასეთი უამრავია, რომელიც იდევნება სისხლის სამართლის დანაშაულით და არც ერთი საქმე არ გაირჩა... ასეთ დამოკიდებულებას ადამიანები ფიზიკურად ეწირებიან. ვითარებას ამძიმებს ის, რომ ხალხის მიერ მოყვანილი ხელისუფლება არ აქცევს მათ ყურადღებას და ადამიანებმა ვერ იპოვეს სამართალი. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფო კომისიის შექმნას პრემიერ-მინისტრის დონეზე. ჩვენ ვერ დავუცდით 27 ოქტომბერს. გვჭირდება სააკაშვილის მარწუხებისგან გათავისუფლებული, აპოლიტიკური სასამართლო, გვჭირდება სახელმწიფო კომისია, სადაც გამოკვლეული იქნება ყველაფერი და საბრალდებო დასკვნა დაიდება, — განაცხადა მანანა ნიკოლაიშვილმა.



როგორც განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, უნდა გაუქმდეს ყველა კონკურსი, რომელიც აქამდე ტარდებოდა და თავიდან მოხდეს კადრების შერჩევა. თუ სააკაშვილის პოლიტიზირებული კადრები იქნებიან ძლიერნი, დარჩებიან ადგილებზე, ქონება კი მოსწავლე თუ სტუდენტ ახალგაზრდობას უნდა დაუბრუნდეს. კბილაშვილის უწყება კი დღემდე უნდა დაინტერესებულიყო განათლების სისტემაში არსებული გაყიდული ქონებით.

პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნიკოლაიშვილმა მედიას საკუთარი ისტორია გააცნო და აღნიშნა, რომ ის პირველი მსხვერპლი იყო სააკაშვილის რეჟიმის, რომელიც 2009 წელს უსამართლოდ გაათავისუფლეს, მაგრამ სამივე სასამართლო ინსტანცია გაიარა და მოიგო პროცესი.

— რა თქმა უნდა, უიმედოდ ვიყავი, რადგან ის მთავრობა იყო და ვერ დავბრუნდებოდი სკოლაში. როცა „ოცნების" მოძრაობა დაიწყო, გახლდით თემატურ ჯგუფში, პირადად შევხვდი ბატონ ივანიშვილს, რომელსაც ძალიან გაუკვირდა ჩემი ამბავი, მაგრამ დღემდე ვარ მოლოდინში. განათლების სამინისტროში შეიქმნა კომისია, წარვადგინე ყველა დოკუმენტაცია და დღემდე მომდის შაბლონური პასუხი — გთხოვთ წარმოადგინოთ საბუთები, რომ პოლიტიკური ნიშნით ხართ გათავისუფლებულიო. ვიყავი ერთ-ერთი რაიონის დეპუტატობის კანდიდატი და კიდევ უამრავი საბუთი მაქვს წარდგენილი, რომ 1998 წლიდან ვიყავი პოლიტიკაში, მაგრამ სკოლაში პოლიტიკა არასოდეს შემიტანია. გეკითხებით, მეტი რა დოკუმენტაცია უნდა წარვადგინო. ყველა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ პედაგოგს მივმართავ, მათ რომ სთხოვენ, წარმოადგინეთ საბუთები პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებო, ეს არის მიზეზი. არც ერთი დირექტორი არ ჩაწერს, რომ ჩვენ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულები ვართ. ეს არის მხოლოდ მიზეზი, რომ არ დააბრუნონ სკოლაში ეს პედაგოგები. ისევ ის დირექტორები არიან სკოლაში, ყველა დირექტორი ახლა გახდა „ოცნება" და ყველა დირექტორი ახლა ლაპარაკობს, რომ ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. რა უნდათ სკოლაში ისეთ პედაგოგებსა და დირექტორებს, რომლებსაც საკუთარი აზრი არ გააჩნიათ? ნაცმოძრაობას არ აწყობდა ჩვენისთანა ხალხი, გაათავისუფლეს ყველა და შეიყვანეს თავიანთი ხალხი. ასე მოხდა დღესაც. დირექტორებმა ისევ საკუთარი ხალხი აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოებში, რადგან დირექტორების გამოცდების შემდეგ ისევ სამეთვალყურეო საბჭოებმა უნდა აირჩიონ ისინი, — აღნიშნა ლია ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, განათლების სამინისტრომ მხოლოდ 7 პედაგოგი აღადგინა, ისიც ნაცნობ-მეგობრობით, რომლებსაც განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ალუდა გოგლიჩიძე მფარველობდა. ეს კი პედაგოგთა დაცინვაა და სხვა არაფერი.

თბილისის პედაგოგთა გაერთიანების წარმომადგენელმა, დავით ფერაძემ ტერიტორიული ორგანოების შესარჩევ კონკურსის დროს დაშვებულ შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება, რომლის შესახებაც აცნობა გენერალურ პროკურატურას, მაგრამ დღემდე საქმის განხილვა ჭიანურდება.

— ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ავან-ჩავანი ამ კონკურსისა, ყოფილი ნაციონალური აქტივისტი, №42 სკოლის ყოფილი დირექტორი, ალუდა გოგლიჩიძე გაათავისუფლეს მინისტრის მოადგილის პოსტიდან. სხვა მოთხოვნა, რომ არჩეული რესურს-ცენტრების უფროსების არჩევნების შედეგები ბათილად იქნას ცნობილი, არ იქნა განხორციელებული და დღეს ჩვენ არალეგიტიმური შუალედური რგოლი გვაქვს განათლების სისტემაში. რაც მთავარია, ნეპოტისტურად იქნა კადრები შერჩეული გოგლიჩიძის მიერ. მათ შორის ისეთ ადამიანები, რომლებმაც კონკურსის ზღვრული ნორმა ვერ გადალახეს, მათ შორის ერთ-ერთი პრობაციონერიც კი იყო. ეს არალეგიტიმური ადამიანები დღემდე განაგრძობენ რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებად მუშაობას და ელემენტარულად, ბრძანების დაწერა არ იციან, ვერანაირ კანონმდებლობაში ვერ ერკვევიან და სად მივა ამით განათლების სისტემა, ღმერთმა იცის, — განაცხადა ფერაძემ.

რაც შეეხება პედაგოგთა სამსახურებში აღდგენის გაჭიანურებას, ფერაძე დარწმუნებულია, რომ ეს თანხების დაზოგვის ერთგვარი მცდელობაა, რადგან არ სურთ დამატებით მათ ხელფასებზე გამოიყოს თანხა.

გუშინ გააკრიტიკეს სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებიც და ბლეფი და სისულელე უწოდეს იმას, რომ 85%-მა ვერ ჩააბარა. არასამთავრობოთა განმარტებით, შეუძლებელია საქართველოს სკოლებში არსებობდეს 85% ისეთი პედაგოგებისა, რომლებიც თურმე არაპროფესიონალები არიან და ამზადებენ პროფესიონალ აბიტურიენტებს.

პედაგოგებს თურმე არც სასერტიფიკაციო დანამატებით ანებივრებენ. სამი წლის განმავლობაში სერტიფიცირებულ პედაგოგთა მხოლოდ 20-25% იღებს სასერტიფიკატო დანამატს 60 ლარის ოდენობით. დანარჩენებისთვის სახელმწიფო ამ 60 ლარსაც ვერ იმეტებს. სექტემბრიდან არასამთავრობოები პედაგოგთა ხელფასების 1000 ლარამდე გაზრდას მოითხოვენ.

# ნაგავსაყრელი ქუთაისს სერიოზულ პრობლემას უქმნის

ნათია ხურცილავა

**საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ 6 თვის ანგარიში წარმოადგინა. აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელმა ექვსი თვის ანგარიში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან დავით ნარმანიასთან ერთად წარმოადგინა.**

როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი შუხოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, კომპანიის მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელების მიერ გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირება. ქვეყნის მასშტაბით მოქმედი მუნიციპალური ნარჩენების 54 პოლიგონის მართვა, ახალი სანიტარული პოლიგონების მშენებლობა ევროკავშირის გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად ახალი რეგიონული სანიტარული პოლიგონების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ არსებული პოლიგონების ეტაპობრივი დახურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის მიზნებსა და ამოცანებზეც გააკეთა შუხოშვილმა აქცენტი. როგორც ის აცხადებს, მათი ამოცანაა არსებულ პოლიგონებზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების პროცედურების გაუმჯობესება; პოლიგონების ტერიტორიის მოწესრიგება და შესაბამის საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანა; პოლიგონზე განთავსებული ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა და სრულყოფა; ახალი რეგიონული სანიტარული პოლიგონებისა და გადამტვირთი სადგურების რაოდენობის განსაზღვრა; ახალი სანიტარული პოლიგონების მშენებლობა და მართვა; მაღალი რისკისმქონე პოლიგონების რემედიაცია და დახურვა; კომპანიაში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებში; კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, განხორციელდა მოქმედი ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია, მოქმედ ნაგავსაყრელებზე დაინერგა შემოსული ნარჩენების მკაცრი აღრიცხვის ჟურნალების საშუალებით აღრიცხვის მეთოდიკა.

გიორგი შუხოშვილის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით ამ ეტაპზე ნაგავსაყრელების მოწესრიგების მიზნით პირველადი საექსპლუატაციო სამუშაოები ჩატარდა და კვლავ გაგრძელდება. თითოეული ნაგავსაყრელისთვის შიდა გზების და ნარჩენების განსათავსებელი უჯრედების გაწმენდის სამუშაოებისთვის განისაზღვრა დასაქირავებელი საჭირო ტექნიკის მომსახურების მანქანა.

— ჩატარდა ყველა არსებული ნაგავსაყრელის შეფასება და რისკების ანალიზი. ნაგავსაყრელებისთვის გარემოზე მავნე ზემოქმედების შემამცირებელი ზომების დაგეგმვა, დახურვას დაქვემდებარებული ნაგავსაყრელების იდენტიფიცირების მიზნით.

რაც შეეხება მაღალ რისკებს, უნდა გითხრათ, რომ ასეთი არის ქუთაისის ნაგავსაყრელი. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში შევიდა ექსპლუატაციაში. მის შემდგომ ქალაქი გაიზარდა. მოსახლეობა ნაგავსაყრელთან ახლოს მოვიდა, ეს კი ნამდვილად ქმნის პრობლემებს. ჩვენ არსებულ ნაგავსაყრელს მოვაწესრიგებთ ისე, რომ ნორმალურად მოხდეს მისი ექსპლუატაცია და სასწრაფო წესით ვიწყებთ ახალი ნაგავსაყრელის აშენებას. იგივეს ვიტყოდი მცხეთის ნაგავსაყრელზე. მართალია მოშორებულია ქალაქს, მაგრამ ეს არის ხევში. სერიოზული რისკისფაქტორია. ბევრ სხვა ნაგავსაყრელზე შეიძლება იგივე ითქვას. შედარებით მოწესრიგებულია ზუგდიდის, ხობის ნაგავსაყრელები.

ჩვენი კომპანიის ფუნქციაა ნაგავსაყრელების მართვა და არა ნარჩენების გამოტანა. რაიონში ერთი ნაგავსაყრელი უნდა იყოს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, რომ ნარჩენი გამოიტანოს და ჩვენს ნაგავსაყრელამდე მოიტანოს, რომ ნაგავი ხევში და მინდვრებზე არ აღმოჩნდეს. ჩვენ ვმუშაობთ იმაზეც, რომ თვითმმართველობებს დავეხმაროთ, რომ ნარჩენები სოფლიდანაც გამოიტანონ და ჩვენამდე მოიტანონ, — განაცხადა შუხოშვილმა.

დავით ნარმანია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი:



— წელს პრაქტიკულად პირველად დავიწყეთ ნაგავსაყრელების მართვა. ადრე ქაოტურად ხდებოდა ეს ყველაფერი. 6 თვის განმავლობაში მოვახერხეთ ის, რომ ნაგავსაყრელების რეგისტრაცია, მათი ნაწილის შემოღობვა, მიწის შეტანა, სისტემის დარეგულირება, მინიმალურად აუცილებელი ღონისძიებები, რაც გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხოებისთვის აუცილებელია, ჩვენ მოვახერხეთ და გავაკეთეთ. გარდა ამისა, ჩვენი მთავარი ამოცანაა ინტენსიური მუშაობა გავაგრძელოთ არსებული ნაგავსაყრელების უვნებლობის თვალსაზრისით და პარალელურად დავიწყოთ ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა. ამ თვალსაზრისით პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა და იმერეთში კეთდება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისთვის ერთი თანამედროვე, ცივილიზებული რეგიონული ნაგავსაყრელი. სხვა რეგიონებზეც ეტაპობრივად დავიწყებთ მუშაობა.

დედაქალაქის მერი გიგი უგულავა გამოდის ინიციატივით, რომ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობის განახლება დაიწყოს. უგულავას ინიციატივას დავით ნარმანია ასე პასუხობს:

— ამას არ სჭირდება გიგი უგულავას ინიციატივა, ეს ინიციატივა არსებობს და მისი პროექტიც მზად არის. ჩვენ მიერ დაქირავებულმა ექსპერტმა ტექნიკური თვალსაზრისით შეისწავლა მეტროსადგურის მშენებლობის პროექტი. დადებითი დასკვნა უკვე დაიდო და უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი. აზიის განვითარების ბანკიდან შესაბამისი დაფინანსება გამოყოფილია და ეს მეტროსადგური აშენდება.

გიორგი შუხოშვილი, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი:

— ჩვენი კომპანია გეგმის მიხედვით ასრულებს იმ პირველად სამუშაოებს, რაც გეგმაში არსებობს. უნდა მოეწყოს რეგიონული ნაგავსაყრელები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების იქნება. ერთი დიდი ნაგავსაყრელი უნდა მოეწყოს და დანარჩენი არსებული ნაგავსაყრელების კონსერვაცია უნდა მოხდეს. რაც შეეხება იმერეთის პროექტს, საპილოტეა. ეს იქნება იმ სტანდარტების მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს ევროკავშირი და საერთაშორისო სტანდარტები. იქნება სორტირების საწარმო, სადაც მოხდება მეორადი ნედლეულის გადამუშავება. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ამ ყველაფრის განხორციელება.

# ზაირა ჩანტლაძე: „თენგიზი ორჯერ გარდაიცვალა“

ეკა ირემაშვილი

წელს თენგიზ ჩანტლაძის საიუბილეო წელია. ცნობილ მსახიობს 80 წელი შეუსრულდებოდა. როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ზაირა ჩანტლაძე აღნიშნავს, წელს იუბილე პომპეზურობით გამორჩეული არ ყოფილა.

**ზაირა ჩანტლაძე:**

– წელს მისი საიუბილეო ასაკია, თორემ, როგორც იუბილე, არავის გახსენებია. რაც გაჟღერდა, ინფორმაცია მიაწოდეს და შეახსენეს, თორემ ისე ვის სცალია. ძალიან დიდი პატრონი უნდა გყავდეს, რომ ვინმემ გაგიხსენოს და დაგაფასოს დამსახურების მიხედვით. ჩემმა მეგობარმა დაიწყო თურმე ამაზე ზრუნვა, მე არ ვიცოდი. რომ მოახლოვდა ეს თვეები, მაგით ვარსებობდი, რომ თენგიზის 80 წელი მოდის, მაპატიეთ ემოციისთვის, მაგრამ მთელი 25 წლის განმავლობაში ასე ვარ. ტყუილია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამ გამოთქმას არ ვეთანხმები არავითარ შემთხვევაში. მოკლედ, ჩემმა მეგობარმა მიაწოდა ინფორმაცია ერთადერთ მაღალ ორგანიზაციას. არ ვიცი, რა ვუწოდო, ჩემს დროს ასე ერქვა და ახალმა ტერმინოლოგიებმა ცოტა დამაბნია. კი არ მიჭირს ამ ყველაფრის გაგება, უბრალოდ, მე ასე მოვიხსენიებ ხოლმე, იმიტომ რომ ქართული ენა, ქართული ლიტერატურა იმდენად მდიდარია, არ სჭირდება დახმარება. 76-ე წელიწადში ვარ და დღემდე ვფიქრობ ხოლმე, რა გასაოცარი, ლამაზი და მდიდარი ქართული ენა გვაქვს და ვამაყობ ამით. მოკლედ, მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თენგიზ ჩანტლაძეს უსრულდება 80 წელი, რომ ეს საიუბილეო თარიღია. მათაც არ უარყვეს, შემხვედრი აზრი ჰქონდათ, მაგრამ, როცა დაიძრა ეს თემა ადგილიდან და კულტურის სამინისტროსთვის უნდა მიმემართა, ისეთი მიზერული თანხა შემომთავაზეს, არაფერს აზრი არ ჰქონდა. ალბათ, შტატი აქვთ ასეთი, ვინც უნდა იზრუნოს, რომ ორგანიზება გაუწიოს თუნდაც დაფინანსებას, იქნება ეს მილიონი თუ 1 ლარი. ძალიან მცირე თანხა იყო გამოყოფილი და ამით გამორიცხული იყო რამის გაკეთება. იმ წუთას იქ არ მითქვამს უარი, უბრალოდ, წამოვედი. საერთოდ, ვინც და რაც არ მომწონს, იქიდან მივდივარ საერთოდ, მით უმეტეს, როცა საქმე თენგიზს შეეხება, ამ შემთხვევაში არც ვთხოვ, არც ვემუდარები და არც არავისი დახმარება აღარ მჭირდება.

***– ამას განაწყენებული ხომ არ ამბობთ?***

– არა, განაწყენებული არ ვარ, ძალიან მტკივა გული.

***– ეს ხომ არ არის დრამატული თეატრი, ის იყო ერთადერთი სატირის თეატრი, რომელიც თენგიზ ჩანტლაძის სახელთან არის დაკავშირებული. ნუთუ ასე რთულია იუბილეს აღნიშვნა?***

– არც ერთ დრამატულ თეატრს არ ვაკნინებ, აქ თეატრის ფორმაზე არ არის ლაპარაკი. სატირის თეატრი იყო საქართველოში ერთადერთი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება, ჯერ თენგიზთან ერთად და მერე თენგიზის გარეშე. სამწუხაროდ, ისეთი არასასიამოვნო სიტუაციაა ქვეყანაში უკვე კაი ხანია, ალბათ, ვერ მოიცალეს ან არ მოიცალეს. ალბათ, სხვა, უფრო მაღალი ღირებულებები აქვთ, საკუთარი არხები აქვთ და ძალიან დაბალი დონის. შეიძლება, სულაც არ ვყოფილიყავი მსახიობი და სატირასთან შეხება არ მქონოდა, მაგრამ მათ დონემდე მაინც ვერ დავიდოდი, თვითონ როგორც ჰგონიათ, რომ არიან. მოკლედ, ასე მოხდა და არ გამოვიდა თენგიზის 80 წლის იუბილეს აღნიშვნა. ერთ-ერთ საკმაოდ პრესტიჟულ, ტრადიციულ და ძალიან პატივსაცემ თეატრს მივმართე, სადაც თენგიზის 70 წლის იუბილე გადავიხადეთ, რა თანხაც შემომთავაზა სამინისტრომ, თითქმის 80% იჯარაში უნდა გადამეხადა და მერე რაღა მექნა? დღეს შეიძლება მოიწვიო მომღერალი, რეჟისორი, წამყვანი და არ გადაუხადო ჰონორარი?! მგონი, მთელ მსოფლიოში ასეა და ასეც უნდა იყოს. ყველამ სამსახურების მიხედვით უნდა მიიღოს თავისი გასამრჯელო. გამორიცხული იყო იმ თანხით საიუბილეო საღამოს გადახდა, ამიტომ წელს არაფერი გაკეთდა.

***– აბა, როგორ აღნიშნეთ მისი 80 წლის იუბილე?***

– მოვიდა მისი დაბადების დღე, კიდევ დამეხმარნენ ახლობლები. სულ რომ კავშირი არ მქონია მოზარდ მაყურებელთა თეატრთან, იქაური გოგონა, მგონი, თამთა ჰქვია, მაპატიოს ღმერთმაც და იმ გოგონამაც, გვარიც კი არ ვიცი. ბატონი რეზო თავართქილაძე შემხვდა ტრანსპორტში, იქ გავანდე ჩემი გულისტკივილი და მან იმდენი რამ გააკეთა თენგიზისთვის, რომ თავისი თეატრის მენეჯერი ჩემზე და თენგიზზე ზრუნავდა. რადიოშიც იყო ინტერვიუ, წინ წავედით ძალიან, მაგიდები უკვე გაშლილი მქონდა და ინტერვიუს სახლიდან ვაძლევდი რადიოში. წინა დღეს მობრძანდნენ „იმედიდან“ და ჩამწერეს თენგიზის სურათების ფონზე, მერე გავიქეცი სასაფლაოზე, რომ ყვავილები მიმეტანა. მის საფლავს ისეთი ქალბატონი უვლის, ყოველთვის მოვლილი მხვდება და ჩემი ხელის შევლება აღარ სჭირდება. იქ ვიყავი, როცა დამირეკეს, ნახევარ საათში მანქანა მოვა და „საზოგადოებრივ არხზე“ მობრძანდითო. ამით კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ყურადღება გამოიჩინა თენგიზის მიმართ. ეს დღევანდელ დღეს დიდი პატივისცემაა, ნებისმიერი თანადგომა და პატივისცემა ჩემთვის ნამდვილად სასიამოვნოა. ჩემი დის ოჯახი და ჩემი მეგობრები დამეხმარნენ და გავშალეთ სუფრა. ამას იუბილე არ ერქვა, ეს იყო თარიღი და თენგოს დაბადების დღე.

***– თვითონ უყვარდა თავისი დაბადების დღე?***

– ძალიან უყვარდა და მეც ძალიან მიყვარს ჩემი დაბადების დღე. ვგიჟდები საჩუქრებზე.

***– მიუხედავად იმისა, რომ წლები გემატებათ?***

– საერთოდ არ მაწუხებს წლები. არ ვთვლი ამას ტრაგედიად. ეს თავისთავადი პროცესია, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს. როცა თენგიზი ახალი გარდაცვლილი იყო და ვინმეს ეთქვა, შენ კიდევ 25 წელი იცოცხლებო, შეიძლება, ძალიან ცუდად დამთავრებულიყო მისი საქმე. ამას ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენმა გასაოცარმა და დიდად პატივცემულმა პატრიარქმა ბრძანა, რიგი არავის დაუდგენია, ვინ როდის მიდის ამქვეყნიდანო. მას ნამდვილად ვეთანხმები. აბსოლუტურად არ მაწუხებს ასაკი, მე მაწუხებს ადამიანებისგან გულგრილობა და კიდევ ბევრი რაღაც. ძალიან შეიცვალა ურთიერთობები. ეგ უფრო სავალალოა, თორემ წლების მატება რა მოსატანია, უნდა დაიბადო, გაიზარდო და მერე...

***– ინტერვიუები თუ უყვარდა ბატონ თენგიზს?***

– კი, ძალიან დიდი არქივი მაქვს. პირველივე დღეებიდან ყველა გაზეთს, სურათს, აფიშას ვაგროვებდი. არ ვიცი, რატომ, მგონია, რომ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, ეს წინასწარ განსაზღვრული არ მაქვს, მაგრამ ამონარიდები, გაზეთები, ჟურნალები მაქვს შეგროვილი. ალბათ, ას წლამდე ვაპირებ ცხოვრებას, ღმერთმა დამიფაროს, თან თუ გამატანენ და იქ თუ ვიმუშავებთ ერთად, არ ვიცი. ეტყობა, ესეც ერთად გვაქვს გასაკეთებელი. არც კი მიფიქრია, რომელიმე მუზეუმისთვის ჩამებარებინა ეს არქივი, თუ შევძლებ, მინდა, რომ ეს ისტორია თვითონ შევინახო და მოვუარო. უკვე მოფიქრებული მაქვს, როგორი იქნება კრებული, რომელშიც თენგიზ ჩანტლაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება გაერთიანდება თავისი ფოტოებით. ძალიან დიდი პრესა მაქვს. ეს არ არის მარტო ქართულ ენაზე, ეს არის რუსულ ენაზეც. ჩვენ ბევრს ვმოგზაურობდით, გასტროლები გვქონდა მოსკოვში, ლენინგრადში, ჩეხეთში, გერმანიაში. ჩვენ რუსულ ენაზეც გვქონდა სპექტაკლები, ეს ბევრმა არ იცის. ეს, იცით, როგორ მოხდა? როცა წავაწყდით ენის ბარიერს, ავტობუსში, მატარებელში, თვითმფრინავში ზეპირად ვთარგმნიდით ტექსტებს, სულ რეპეტიციები გვქონდა და ვთამაშობდით რუსულად. არავის უთქვამს შენიშვნა, რატომ ასეთი რუსულიო, ალბათ, ზომიერი იყო ყველაფერი. მოგეხსენებათ, თარგმანი სულ სხვა რამ არის. რაზეც ქართულად გაგეცინება, ის რუსულად სულაც არ არის სასაცილო. ჩვენთვის ეს ბარიერი არასოდეს ყოფილა.



***– ევროპის ქვეყნებშიც რუსულად თამაშობდით?***

– დიახ. ჩვენ რაიკინის თეატრთან გვქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა და პირადად რაიკინთანაც. გაჩვენებთ, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ ყველაფერს, მისი წარწერებია მე და თენგიზს გვაჩუქა თავისი სურათები, შეხვედრაც გვქონდა, იმდენად დიდი და კარგი ურთიერთობები გვქონდა, რომ სპეციალურად წავედით ოდესაში მე და თენგო და იქ დავესწარით რაიკინის თეატრის სპექტაკლებს.

***– 25 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. თქვენთვის რამე შეიცვალა?***

– ამ წლების განმავლობაში ის სულ ჩემთან არის. ერთ-ერთ ოჯახში ვიყავი სტუმრად და სულებზე დავიწყეთ ლაპარაკი. ყველა მეუბნება, დაანებე თავი ამ კაცს, არ შეიძლება, სულ თენგიზი, თენგიზი რომ გაკერია პირზე, დაასვენე ის კაცი და მისი სულიო.

***– თუკი გახსოვთ, ეს ცუდია? გამიგია, რომ დიდხანს გლოვა არ არის კარგი.***

– გლოვასაც გააჩნია. გლოვის სხვადასხვანაირი ფორმა არსებობს. რამდენი ადამიანიცაა ამქვეყანაზე, ასე მგონია, იმდენნაირია გლოვაც. იმ საუბარში ვთქვი, თენგიზს მე კი არ ვაკავებ, თვითონ არ მტოვებს, სულ თან დამყვება-მეთქი და ეს სიმართლეა. ძალიან მაინტერესებს ეს თემა და იქ იყო ერთი სტუმარი, რომელსაც ამ თემაზე წიგნი აქვს გამოცემული, დამპირდა, რომ აუცილებლად მომაწვდის. ახლა დიდი ინტერესით ველოდები, რომ წავიკითხო. ისე ველოდები, არ მძინავს! ნაწილობრივ ვისაუბრეთ ამ თემებზე, მაგრამ წიგნის წაკითხვა ძალიან მინდა. სამწუხაროდ, მწირი ბიბლიოთეკა შემრჩა, საერთოდ, ნარჩენებზე ვცხოვრობ, ყველაფერი დავთმე და წამოვედი. ამ სახლში ჩვენ არ გვიცხოვრია. მე მიყვარს ნგრევა, აშენება არ ვიცი. ენციკლოპედიებში ჩავიხედე სულებთან დაკავშირებით, ძალიან მწირი ინფორმაცია იყო და არ დამაკმაყოფილა. ასე მგონია, რომ, როცა ამ წიგნს წავიკითხავ, შვებას მომგვრის და უფრო მეტი მეცოდინება.

***– რას ნიშნავს, თენგიზი არ მტოვებს და სულ თან დამყვებაო?***

– ამას შინაგანად ძალიან ხშირად ვგრძნობ. იშვიათი ღამეა, რომ თენგო არ დამესიზმროს. არ შეიძლება, კვირა გავიდეს ისე, სიზმარში არ ვნახო. სულ ვესაუბრები, თუ გავიდა კვირა, რომ არ დამესიზმრა, მოკრძალებით ვსაყვედურობ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ 26,5 წელი ვიცხოვრეთ ერთად, მაინც მქონდა შინაგანი დისტანცია მის მიმართ. ეს მისი დამსახურება იყო. თენგიზი იყო საოცრად ნიჭიერი, არაორდინარული. სულ სხვანაირი ადამიანი იყო ცხოვრებაში, შეიძლება, სცენაზე სხვანაირი ჩანდა. დღემდე დიდ პატივს ვცემ მის ნიჭს და ვარ პირველ რიგში მისი თაყვანისმცემელი და ბოლოს მისი მეუღლე.

***– სად გაიცანით ერთმანეთი?***

– რომ დავამთავრე, განაწილებული ვიყავი სოხუმის თეატრში, ვასო ყუშიტაშვილი იყო დიდებული რეჟისორი და ოთხი აგვირჩია გამოშვებიდან – ორი ქალი და ორი ვაჟი. დედამ წამიყვანა სოხუმში და ჩათვალა, რომ ვერ დამტოვებდა უცხო ქალაქში, თვითონ ოჯახს ვერ მიატოვებდა და ჩემთან ვერ დარჩებოდა, ამიტომ უკან წამომიყვანა. ის ერთი წელი არსად ვმუშაობდი. ჩემს ჯგუფელს იცნობდა თენგიზი ძალიან კარგად, მე არ ვიცნობდი და უთხრა, თუ ვინმე არ არის დაკავებული თეატრში, ჯგუფს ვაკეთებ და იქნებ ჩემთან მოხვიდეთო. შევიკრიბეთ ერთ-ერთი თანაკურსელის ოჯახში, იქ თვითონ თენგომ წაგვიკითხა პროგრამა. ამ ფრაზას ყველგან ვამბობ, რომ მომეწონა პროგრამა, მაგრამ თენგიზი უფრო.

***– მაშინ იყო უკვე პოპულარული?***

– საკმაოდ, იმიტომ რომ მან სტუდენტობის წლებიდან დაიწყო, ჯერ უნივერსიტეტის და მერე პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითშემოქმედებაში. მაშინ ძალიან მაღალ დონეზე იყო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის თვითშემოქმედება. იქ ბევრი ცნობილი ხელოვანი აღიზარდა. თენგიზზე გაუთავებლად შემიძლია საუბარი. ასე მოხდა ჩვენი შეხვედრა, ასე გაგრძელდა, ამ თეატრს შეეწირა თენგიზი, გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა ეს თეატრი, მაგრამ... ჩვენ შენობას შევეწირეთ, პირველ რიგში თენგიზი, თორემ მე აგერ დღესაც გესაუბრებით ჩემთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე.

***– ნუთუ არ იყო გამოსავალი, რომ ადამიანს გული არ გახეთქვოდა?***

– არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. აფექტის ადამიანი იყო თენგიზი, საშინელი ემოციური, სხვებიც იყვნენ ასეთები, მაგრამ რატომ აღმოჩნდა ასეთი საბედისწერო ეს შემთხვევა, არ ვიცი. თანაც შენობაში იყო თენგიზი, როცა ანგრევდნენ, თან თავისი ინიციატივაც არ იყო, როცა იქ იყო. არ მინდა დეტალებზე საუბარი. საშინელებაა ტყუილი. ხომ ასეთი აფექტის კაცი იყო, მაგრამ მეორე წუთში ბეკეკასავით, ბავშვივით ხდებოდა. ალბათ, ცოტა იოლად უნდა შეეხედა ამ ყველაფრისთვის, შეიძლება, დრო გავიდოდა და გამოჩნდებოდა რაღაც შენობა. სხვათა შორის, იმ დღეს ვაპირებდით თბილისიდან გასვლას, ქობულეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ დილიდანვე უხასიათოდ იყო, საღამოს 5 საათზე კი გარდაიცვალა. ჩვენი თეატრი სულ ბოლოს მედიცინის მუშაკთა სახლში იყო. ძალიან ფრთხილად ვარ ამ თემასთან და არ მინდა ლაპარაკი. ის ადამიანი ახალი გარდაცვლილია, ამიტომ არ მინდა, ახლა ვისაუბრო. სულებითაც, იცით, რატომ დავინტერესდი? მგონია, რომ დროულად გავიცანი ის პიროვნება, ვისაც ამ თემაზე წიგნი აქვს დაწერილი. სამწუხაროდ, პირადად ვერაფერი შევძელი და იქნებ იქ ისევ თვითონ გაარკვიონ. არადა, თენგიზის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ამ თეატრს მისი სახელი მიენიჭა, თანაც სახელმწიფო თეატრი იყო. რატომღაც მინიატურების თეატრად მოიხსენიებენ, არადა, როცა სახელმწიფო თეატრი გავხდით, მას ეწოდა თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი. ერთი ხელის მოსმით ასეთი სახელობითი თეატრის განადგურება არ შეიძლებოდა.

***– რატომ არ გააპროტესტეთ?***

– რომ გითხრათ, ბატკანივით ადამიანი ვარ-მეთქი, არა, მეც კარგი გაბრაზება ვიცი. თენგო მსაყვედურობდა, მას უფრო ჩქარა გაუვლიდა წყენა, ვიდრე მე. არის რაღაცები, რასაც არავის ვაპატიებ ამქვეყანაზე, პირველ რიგში – ტყუილს. ამას ყველაზე მწარედ განვიცდი. მირჩევნია, ვიცოდე სიმართლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს, ვიდრე მომატყუონ, იმიტომ რომ ეს ჩემთვის ასმაგად მძიმე გადასატანია. მირჩევნია, გავიგო დროულად, ვიდრე დაგვიანებით.

***– თუკი ამდენს მიაღწიეთ და მიიღეთ სახელმწიფო თეატრის სტატუსი, რატომ ვეღარ შეინარჩუნეთ თეატრი?***

– იმიტომ რომ მუნიციპალური გახდა თეატრი და მერიამ აღარ დაგვაფინანსა. იჯარას ვეღარ ვიხდიდით და რანაირად? ნებისმიერ თეატრს მსოფლიოში რაც არ უნდა ძლიერი შემადგენლობა ჰყავდეს, ვარსკვლავი ხომ ჰყავს? ხომ არის ერთი, ვისთვისაც და რისთვისაც დადის მაყურებელი. ეს არ თქვას არავინ, შეიძლება, ბევრი ძლიერი მსახიობი გყავდეს, მაგრამ ერთი ლიდერი ყოველთვის არის. ამ თეატრისთვის თენგიზი იყო ასეთი და რთული იყო მისი გარდაცვალება, თანაც ასეთი ფორმის თეატრისთვის, რომელიც სპეციფიკური და ერთადერთი იყო. უნდა ყოფილიყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ღირსეულად შეაფასებდნენ თენგიზისა და თეატრის ერთადერთობას, მაგრამ ასე არ მოხდა.

***– რამდენი ხანია, აღარ არსებობს ეს თეატრი?***

– მეექვსე წელია. იცით, საიდან ვანგარიშობ? ინფარქტი დამემართა და იქიდან მაქვს ათვლა. ბოლო ხანებში თენგიზი ყოველთვის ამბობდა, ჩემი გარდაცვალების შემდეგ თუ აღარ იარსებებს ეს თეატრი, მე მეორედ გარდავიცვლებიო და ეს მოახერხეს. თენგიზი ერთხელ არ გარდაცვლილა, ორჯერ გარდაიცვალა.

***– არ გაქვთ იმედი, რომ დააბრუნოთ ეს ყველაფერი?***

– ასეთი გულუბრყვილო არ ვარ.

***– თუკი გეყოლებათ თანამოაზრეები?***

– ამას მარტო თანამოაზრეები არ სჭირდება. დღეს ძალიან დიდ პრობლემაშია ჩვენი ძვირფასი საქართველო, ამიტომ ფანტაზიორი არ ვარ, რეალურად ვუყურებ ყველაფერს. მე თუ აღარ ვიქნები და ვიღაც კიდევ გამოჩნდება ლიდერი, ღმერთმა ქნას, თენგიზისნაირი იყოს ან მისი მსგავსი და აიღებს თავის თავზე, ააღორძინებს და ასეთი თეატრი იარსებებს, ალბათ, იმ სამყაროში მეც გავიხარებ და თენგიზიც. როგორც კარგია ერთადერთობა, ამას თავისი სიძნელეებიც ახლავს, ალბათ, საუკუნე სჭირდება, რომ გამეორდეს. ასე ვლაპარაკობ თენგიზზე, არა როგორც ცოლის პოზიციიდან, არამედ, როგორც მაყურებელი. პირველ რიგში ვიყავი მისი მაყურებელი და მერე – მეუღლე.

***– პარტნიორობაში თუ გქონდათ რაიმე უპირატესობები?***

– არავითარი! არასდროს დადგმულა სპექტაკლი და არასდროს მითამაშია ის როლი, რომელიც მინდოდა.

***– დაჩაგრული იყავით?***

– არა, დაჩაგრულად არასდროს მიგრძვნია თავი. პრივილეგირებული არასოდეს ვყოფილვარ. ისეთი თეატრი იყო, რომ პირველი არასდროს ვიქნებოდი. იყო სპექტაკლები, უსიტყვო როლი მქონდა და ორივე განყოფილებაში ვიჯექი სცენაზე, თანაც სიტყვას არ ვამბობდი.

***– არ გწყინდათ?***

– არა, გეფიცებით, არ მწყინდა.

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**



# „დილამ“ ხორვატებს დაუბნელა

**დილა – ჰაიდუკი 1:0**
**თბილისი. მიხეილ მესხი. 14.000**
1:0 დოლიძე (82)

**დილა:** რევიშვილი, კობახიძე, კვახაძე, თომაშვილი, ღონღაძე, გურული, გვალია, ბოლქვაძე (აბურჯანია 85), ალადაშვილი (დოლიძე 77), მოდებაძე (გორელიშვილი 75)

**ჰაიდუკი:** კალინიჩი, მიკანოვიჩი, მილოვიჩი, ვრშაევიჩი, ანდელკოვიჩი, მაგლიცა (ლავკისი 78), ჩაკტაში, მალოჩა, ბრადარიჩი, სუშიჩი (ანდრიაშევიჩი 46), ბენცუნი

ზედიზედ მეორედ, გორის „დილა“ უეფას ევროპა ლიგის პლეი ოფში ითამაშებს. სპლიტის „ჰაიდუკთან“ გამართული განმეორებითი დაპირისპირება ქართველი ფეხბურთელებისთვის სასურველი სცენარით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა.

„ჰაიდუკთან“ ჯახის წინასამატჩო პრესკონფერენციაზე „დილას“ მთავარ მწვრთნელს გიორგი დევდარიანს არც დაუმალავს, თუ როგორ აპირებდა უხერხული მეტოქის წინააღმდეგ განმეორებით შეხვედრაში თამაშს. წინა მატჩისგან განსხვავებით, შემადგენლობაში მოულოდნელი ცვლილება არ მომხდარა, დისკვალიფიცირებული ხიზანეიშვილის ადგილი ლექსო კვახაძემ დაიკავა. პაუზის შემდეგ ძირითად დაუბრუნდა ირაკლი მოდებაძე, რომელმაც გრიგოლ დოლიძე შეცვალა.

ხორვატები თავიდანვე შეეცადნენ უპირატესობის მოპოვებას, „დილა“ კი მშვიდად და აუღელვებლად იცავდა თავს, ამასთან, მწვავე კონტრშეტევებით მოსვენებას არ აძლევდა მეტოქეს. საბოლოოდ, ფეხბურთელებმა თითქმის სრულყოფილად შეასრულეს მწვრთნელის დავალებები და შედეგიც სრულიად ლოგიკური დაფიქსირდა.

პირველი ტაიმის საწყისი 15 წუთი ბურთს უფრო მეტად სტუმრები აკონტროლებდნენ, რასაც არანაირი ხიფათი რევიშვილის კართან არ მოჰყოლია. გამორჩევით შეიძლება შუშიჩის ახლო მანძილიდან დარტყმული გამოვარჩიოთ, რომელიც დიდი მანძილით ასცდა კარს.

ამ პერიოდში ილურიძე ორჯერ ცდილობდა მეტოქის კართან სიტუაციის გამწვავებას, ჯერ მისი სახიფათო ფლანგური გადაცემა ჩაჭრეს მცველებმა, შემდეგ კი მისი დარტყმული იყო არაზუსტი. აქვე აუცილებლად აღვნიშნოთ თუ რამდენად დიდი როლი აქვს დევდარიანის სათამაშო სქემაში „დილას“ ათ ნომერს, რომელიც უდაოდ ერთ-ერთი საუკეთესოა გორელთა შორის – უზადო ტექნიკა, დრიბლინგი, მწვავე და ტექნიკური გადაცემები, ფაქტობრივად, შეუფასებელს ხდის ილურიძის როლს.



„ჰაიდუკის“ ფეხბურთელების 15-წუთიანი აქტიურობის შემდეგ „დილამ“ ნელ-ნელა შეძლო თამაშზე კონტროლის დაწესება და მათი იერიშებიც უფრო და უფრო სახიფათო გახდა.

ჯერ მოდებაძეს ილურიძე გაჰყავდა მეკარესთან პირისპირ, თუმცა მცველებმა და მეკარემ ბოლო მომენტში შეძლეს სიტუაციის განმუხტვა.

24-ე წუთზე კი ხორვატები აშკარად გადარჩნენ – ღონღაძემ კარგად შეაყოლა ბურთი ალადაშვილს, რომელმაც მეკარის საჯარიმოსთან მდგომ ილურიძე მოძებნა, მისი დარტყმულის შემდეგ გოლიც გარდაუვალი უნდა ყოფილიყო, თუმცა მცველებმა იყოჩაღეს და იხსნეს კარი. ამ მომენტს ისევ მოდებაძის აქტიურობა მოჰყვა, თუმცა რეალურ გამწვავებამდე ხან მას დააკლდა სიზუსტე და ხანაც მეტოქის დაცვა იყო ყურადღებით. როგორც მოგეხსენებათ, ტრავმის გამო, ირაკლის ბოლო ორი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა, თუმცა გუშინდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „დილას“ შემადგენლობაში ისიც ერთ-ერთი საკვანძო და ფაქტობრივად შეუცვლელი ფიგურაა.

ტაიმის ბოლოს ორივე მეკარეს მოუხდა თამაშში ჩართვა და, თუ რევიშვილს შედარებით იოლად ჰქონდა საქმე, გვალიას დარტყმულის შემდეგ კალინიჩს სრული ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა. ეს მომენტი კი ბოლო წუთზე „ჰაიდუკის“ კართან მოწოდებულ კუთხურს მოჰყვა, გამოვარდნილ ბურთზე ლაშამ ყველას დაასწრო და შორიდანაც გაისროლა, მეკარის ოსტატობის შესახებ კი უკვე მოგახსენეთ. ტაიმიც ასეთ მაჟორულ ნოტაზე დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისი დიდად წააგავდა პირველისას, თუმცა ხორვატების ქმედებაში უფრო მეტი დამაჯერებლობა იგრძნობოდა, რასაც „დილას“ ფეხბურთელების პასიურობაც დაერთო. პირველი, მეტ-ნაკლები ხიფათი გორელთა დაცვის ხაზის შეცდომას მოჰყვა, თუმცა საბოლოოდ კარში დარტყმამდე საქმე არ მისულა.

მალევე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ დევდარიანმა კარგად იცოდა რას აკეთებდა. სტუმართა საწყისი აქტიურობა კვლავ თანაბარ თამაშში გადაიზარდა და უფრო მეტიც, რიგ ეპიზოდებში გორელთა უპირატესობა აშკარა იყო. ანდრიაშევიჩის არაზუსტი თავური დარტყმის საპასუხოდ მოდებაძეს და ღონღაძეს მიეცათ შანსი, თუკი „დილას“ თავდამსხმელმა მარტივ გადაცემას კარში დარტყმა არჩია, რომელიც არაზუსტი აღმოჩნდა, ღონღაძის შორიდან დარტყმული კალინიჩის ადვილი ნადავლი გახდა.

კიდევ ერთი ხიფათი „ჰაიდუკის“ კართან „დილას“ ფეხბურთელების კონტრშეტევას მოჰყვა, მაგრამ ალადაშვილის მიერ მეტოქის კარის გასწვრივ გაკეთებულ გამჭოლ გადაცემას ვერავინ გამოეხმაურა.

რამდენიმე წუთში კი მატჩის ერთ-ერთი ულამაზესი მომენტი ვიხილეთ – აქტიური ალადაშვილის ჩაწოდებულის შემდეგ მოდებაძე ნახტომში ურტყამდა თავით, მაგრამ კალინიჩმა სუპერ სეივი შეასრულა.

რეალური შანსი ჰქონდა მეტოქესაც, შეცვლაზე შემოსულა მუიაინმა ადვილად მოახერხა დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა, საჯარიმოს ხაზიდან მისი დარტყმული ხარიხამ აისხლიტა – რევიშვილი ნამდვილად უძლური იქნებოდა. თამამად შეიძლება თქმა, რომ ეს ტუდორის გუნდის მიერ შექმნილი ყველაზე რეალური სახიფათო მომენტი იყო, თუ ერთადერთი არა.

„დილას“ მეკარეს მაინც დასჭირდა საკუთარი ოსტატობის გამოვლინება, როდესაც ცაკტაშის საჯარიმო დარტყმა კუთხურზე მოიგერია. კუთხური ხორვატებმა არცთუ კარგად გაითამაშეს და გოლიც მიიღეს საკუთარ კარში – გიორგი დევდარიანმა კიდევ ერთხელ გამოიცნო ცვლილება... 82-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ, იერიში თომაშვილმა წამოიწყო, რომელმაც მოედნის ცენტრში ილურიძეს უპასა, ამ უკანასკნელმა კი მოზომილი და ლამაზი გადაცემით დოლიძე გაიყვანა იდეალურ პოზიციაზე, დანარჩენი კი უკვე ოსტატობის ამბავი იყო და „დილას“ ნახევარმცველსაც ეფექტური გოლი გამოუვიდა – 1:0.

თუკი გოლამდე ხორვატები, ასე თუ ისე, ცდილობდნენ მინიმუმ ერთი ბურთის გაქვითვას, გოლის შემდეგ უკვე ცხადზე ცხადი იყო, რომ მათ ორჯერ ამის გაკეთება ფიზიკურად არ შეეძლოთ და შეხვედრაც ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

„დილამ“ ისევ დამაჯერებლად მოიგო, მოიგო ისევ მშრალად... ნაჩვენები ფეხბურთის ხარისხი კი ქებას იმსახურებს.

### მატჩის შემდეგ

**იგორ ტუდორი:**

– მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. ორი მატჩის ჯამში, ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით, თუმცა შემდეგ ეტაპზე „დილა“ გავიდა.

**გიორგი დევდარიანი:**

– დღეს გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ხორვატიაში და ამაში მთავარი „დამნაშავე“ მინდვრის საფარია. ჩვენ მოკლე და სწრაფი გადაცემებით ვთამაშობთ, სწორედ ამიტომ იყო, რომ იქ არ გამოგვდიოდა მწვავე კონტრიერიშები. ხარვეზები დღესაც გვქონდა, მაგრამ მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ. მადლობა ყველას, ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს გვერდში დგომისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ ორი თვის შეკრებილი გუნდი ვართ და ამდენი შევძელით, რა თქმა უნდა, რესურსი კიდევ არსებობს და მის სრულ გამოყენებას შემდეგ თამაშებში ვეცდებით. სატრანსფერო სიახლეები, სავარაუდოდ, მოსალოდნელი არ არის, მხოლოდ მაისურაძე დაგვემატება.

**გორელთა დამრიგებელს ტუდორის კომენტარის შეფასებაც სთხოვეს:**

– მას ნამდვილად დიდი პატივს ვცემ, როგორ ფეხბურთელს, თუმცა, როგორც მწვრთნელი, უტაქტოა. ხორვატიიდან მოყოლებული, მაგის სარკაზმებს ვისმენთ. თუ მიაჩნია, რომ მისი გუნდი უკეთესი იყო, დაჯდეს, უყუროს მატჩის ჩანაწერებს და ითვალოს სახიფათო მომენტები. თუმცა ახლა, რაც უნდა, ის ილაპარაკოს, პლეი ოფში ჩვენ ვითამაშებთ.

# ქართველთა მეორე მარცხი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქართველოს ნაკრებში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა დუდა სანაძეს, რომელმაც 17 წუთი ითამაშა და თავი 14 ქულას მოუყარა. 21 წლის დუდამ 3-დან 2 სამქულიანი და 5-დან 4 ორიანი ჩააგდო. ბომბარდირი გიორგი ცინცაძე გახდა 22 ქულით, ვიქტორ სანიკიძის ანგარიშზე კი 20 ქულა დაგროვდა.

პოლონელთაგან 5-მა კალათბურთელმა უწია 10-ქულიან ზღვარს, რომელთაგან 14-14 ქულით საუკეთესონი ადამ ვაუინსკი და პრემისლავ ზამოისკი გახდნენ. მაცეი ლამპემ, რომელიც ბარსელონიდან გუშინ დაბრუნდა, სადაც კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი გააფორმა, პოლონელებს 11 ქულა და 7 მოხსნა შესძინა.

**დავით უსტიაშვილი:**

– ჩვენი მთავარი მიზანი იმ მოთამაშეების გამოცდაა, რომლებიც შედარებით ახლები არიან და გვსურს, ყველა მათგანის შესაძლებლობებში დავრწმუნდეთ. შესაბამისად, თამაშის შანსი ყველას ეძლევა. დღეს პოლონეთთან თამაშს არა უშავდა. ბიჭებმა პერიმეტრიდან წარმატებით ესროლეს, ხოლო შედეგს არ ვანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, პოლონეთი ჩვენი მეტოქეა ევროპის ჩემპიონატზე და მთავარი მატჩი ერთ თვეში გველის. ეს ვარჯიში უფრო იყო, ვიდრე სერიოზული დაპირისპირება. არც ერთი გუნდი არ თამაშობდა ოპტიმალური შემადგენლობით. პოლონეთში მაცეი ლამპემ ითამაშა, თუმცა მათ მარცინ გორტატი და ნატურალიზებული კელატი აკლდნენ. რაც შეეხება ჩვენს ნატურალიზებულ მოთამაშეებს, რიკი ჰიკმანი კვლავ არ ვათამაშეთ, გვინდა, ბოლომდე კარგად შეერწყას გუნდს და შემდეგ გავიდეს მოედანზე. ისრაელის წინააღმდეგ ჰიკმანი მოედანზე იქნება.

# დღეს 25-ე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი იწყება

10 აგვისტოს საქართველოს 25-ე ეროვნული ჩემპიონატი იწყება. იშვიათია შემთხვევაა, როდესაც ზედიზედ მეორედ ჩვენი პირველობა იმავე პრინციპით იმართება, როგორც წინა. ჩემპიონატში მონაწილეობას ამჯერადაც 12 გუნდი მიიღებს. ესენი არიან: თბილისის „დინამო“, გორის „დილა“, ქუთაისის „ტორპედო“, საჩხერის „ჩიხურა“, „ზესტაფონი“, „ზუგდიდი“, რუსთავის „მეტალურგი“, მარტვილის „მერანი“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“, ბოლნისის „სიონი“, ლანჩხუთის „გურია“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

გუნდები ორ წრედ ითამაშებენ, შემდეგ კი, როგორც შარშან, ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყოფიან. ზედა 6 გუნდი მედლებისა და ევროსაგზურებისთვის გაირჯებიან, ქვედა კი – ელიტაში დასარჩენად.

ცხადია, ჩემპიონატის მიმდინარეობას მისი მსვლელობისას ჩვენი გაზეთის მეშვეობით შეგატყობინებთ, მანამდე კი კალენდარი.



**1 ტური**

10.08 ვიტ ჯორჯია (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი)
10.08 მერანი (მარტვილი) – სპარტაკი (ცხინვალი)
10.08 ტორპედო (ქუთაისი) – მეტალურგი (რუსთავი)
11.08 ზუგდიდი (ზუგდიდი) – ჩიხურა (საჩხერე)
11.08 სიონი (ბოლნისი) – დილა (გორი)
11.08 დინამო (თბილისი) – ზესტაფონი (ზესტაფონი)

**2 ტური**

17.08 გურია-მერანი
17.08 ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია
17.08 სპარტაკი-სიონი
17.08 დილა-დინამო
18.08 ჩიხურა-მეტალურგი
18.08 ზესტაფონი-ტორპედო

**3 ტური**

25.08 ვიტ ჯორჯია-ჩიხურა
25.08 მერანი-ზუგდიდი
25.08 სიონი-გურია
25.08 დინამო-სპარტაკი
25.08 ტორპედო-დილა
26.08 მეტალურგი-ზესტაფონი

**4 ტური**

31.08 ზუგდიდი-სიონი
31.08 ვიტ ჯორჯია-მერანი
01.09 ჩიხურა-ზესტაფონი
01.09 დილა-მეტალურგი
01.09 სპარტაკი-ტორპედო
01.09 გურია-დინამო

**5 ტური**

13.09 დინამო-ზუგდიდი
13.09 მერანი-ჩიხურა
13.09 სიონი-ვიტ ჯორჯია
13.09 ტორპედო-გურია
13.09 მეტალურგი-სპარტაკი
13.09 ზესტაფონი-დილა

**6 ტური**

21.09 ჩიხურა-დილა
21.09 გურია-მეტალურგი
21.09 ზუგდიდი-ტორპედო
21.09 მერანი-სიონი
21.09 სპარტაკი-ზესტაფონი
21.09 ვიტ ჯორჯია-დინამო

**7 ტური**

29.09 სიონი-ჩიხურა
29.09 დინამო-მერანი
29.09 მეტალურგი-ზუგდიდი
29.09 ზესტაფონი-გურია
29.09 დილა-სპარტაკი
30.09 ტორპედო-ვიტ ჯორჯია

**8 ტური**

06.10 ჩიხურა-სპარტაკი
06.10 გურია-დილა
06.10 ზუგდიდი-ზესტაფონი
06.10 ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
06.10 მერანი-ტორპედო
06.10 სიონი-დინამო

**9 ტური**

20.10 დინამო-ჩიხურა
20.10 მეტალურგი-მერანი
20.10 დილა-ზუგდიდი
20.10 სპარტაკი-გურია
20.10 ტორპედო-სიონი
20.10 ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია

**10 ტური**

26.10 ჩიხურა-გურია
26.10 ზუგდიდი-სპარტაკი
26.10 ვიტ ჯორჯია-დილა
26.10 მერანი-ზესტაფონი
26.10 სიონი-მეტალურგი
26.10 დინამო-ტორპედო

**11 ტური**

03.11 მეტალურგი-დინამო
03.11 ზესტაფონი-სიონი
03.11 დილა-მერანი
03.11 სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
03.11 გურია-ზუგდიდი
04.11 ტორპედო-ჩიხურა

**12 ტური**

09.11 გურია-ვიტ ჯორჯია
09.11 დილა-სიონი
09.11 მეტალურგი-ტორპედო
09.11 სპარტაკი-მერანი
10.11 ჩიხურა-ზუგდიდი
10.11 ზესტაფონი-დინამო

**13 ტური**

24.11 მეტალურგი-ჩიხურა
24.11 დინამო-დილა
24.11 მერანი-გურია
24.11 ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი
24.11 სიონი-სპარტაკი
24.11 ტორპედო-ზესტაფონი

**14 ტური**

30.11 ჩიხურა-ვიტ ჯორჯია
30.11 ზუგდიდი-მერანი
30.11 გურია-სიონი
30.11 დილა-ტორპედო
30.11 ზესტაფონი-მეტალურგი
30.11 სპარტაკი-დინამო

**15 ტური**

04.12 ზესტაფონი-ჩიხურა
04.12 მეტალურგი-დილა
04.12 დინამო-გურია
04.12 სიონი-ზუგდიდი
04.12 მერანი-ვიტ ჯორჯია
05.12 ტორპედო-სპარტაკი

**16 ტური**

08.12 ჩიხურა-მერანი
08.12 ვიტ ჯორჯია-სიონი
08.12 ზუგდიდი-დინამო
08.12 დილა-ზესტაფონი
09.12 გურია-ტორპედო
09.12 სპარტაკი-მეტალურგი

**17 ტური**

14.12 ზესტაფონი-სპარტაკი
14.12 მეტალურგი-გურია
14.12 ტორპედო-ზუგდიდი
14.12 სიონი-მერანი
15.12 დილა-ჩიხურა
15.12 დინამო-ვიტ ჯორჯია

**18 ტური**

18.12 ზუგდიდი-მეტალურგი
18.12 გურია-ზესტაფონი
19.12 სპარტაკი-დილა
19.12 ჩიხურა-სიონი
19.12 მერანი-დინამო
19.12 ვიტ ჯორჯია-ტორპედო

**19 ტური**

22.02 სპარტაკი-ჩიხურა
22.02 დილა-გურია
22.02 ზესტაფონი-ზუგდიდი
22.02 მეტალურგი-ვიტ ჯორჯია
22.02 ტორპედო-მერანი
22.02 დინამო-სიონი

**20 ტური**

02.03 ჩიხურა-დინამო
02.03 სიონი-ტორპედო
02.03 მერანი-მეტალურგი
02.03 ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
02.03 ზუგდიდი-დილა
02.03 გურია-სპარტაკი

**21 ტური**

09.03 გურია-ჩიხურა
09.03 სპარტაკი-ზუგდიდი
09.03 დილა-ვიტ ჯორჯია
09.03 ზესტაფონი-მერანი
09.03 მეტალურგი-სიონი
09.03 ტორპედო-დინამო

**22 ტური**

16.03 ჩიხურა-ტორპედო
16.03 დინამო-მეტალურგი
16.03 სიონი-ზესტაფონი
16.03 მერანი-დილა
16.03 ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
16.03 ზუგდიდი-გურია

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასადის მოწინააღმდეგეები „ნაციონალური არმიის“ ფორმირებას შეუდგნენ

სირიელი ამბოხებულები „ნაციონალური არმიის“ ფორმირებას შეუდგნენ. არმიაში მოხალისეები წევრიანდებიან. განცხადება ამის შესახებ ოპოზიციისა და რევოლუციური ძალების ნაციონალური კოალიციის ხელმძღვანელმა აჰმედ ალ-ჯაბრამ გააკეთა.



„ნაციონალური კოალიცია „სირიის თავისუფალი არმიის“ გენშტაბთან ერთად ნაციონალური არმიის ფორმირების სტრატეგიაზე მუშაობს, რომელშიც მოხალისეთა მიღება ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთში მოხდება, სადაც იქნება კიდეც მისი ბირთვი“, — განაცხადა ალ-ჯაბრამ.

მან განმარტა, რომ ამგვარი არმია, სირიელ ამბოხებულებს საშუალებას მისცემს თავი დააღწიოს საველე მეთაურებს და მთელ რიგ პრობლემებს.

მათივე განცხადებით, პირველ ეტაპზე არმიის წევრთა რაოდენობა დაახლოებით 6 ათასი ადამიანი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლი „სირიის თავისუფალი არმია“ სხვადასხვა, ხშირად ხელმძღვანელობას დაუმორჩილებელი ჯგუფებისაგან შედგება, რომელთა რიგებშიც დიდი რაოდენობით უცხო ქვეყნიდან ჩასული დაქირავებულები არიან.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში სირიის ოპოზიციამ ქალაქ ალეპოს სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროვინციაში მდებარე ავიაბაზა ჩაიგდო ხელში. ინფორმაცია ამის შესახებ „ფრანს პრესმა“ გაავრცელა.

მათივე ინფორმაციით, ავიაბაზისათვის სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლები ოპოზიციასა და ბაშარ ასადის არმიას შორის უკვე ერთ თვეზე მეტი ხანის მიმდინარეობს.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო. გაეროს მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად უკვე დაღუპულია 100 ათასზე მეტი ადამიანი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# გერმანია სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს არ გამორიცხავს

გერმანია სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას არ გამორიცხავს, — ამის შესახებ გერმანული გამოცემა „შპიგელი“ წერს.

გერმანიის იუსტიციის მინისტრი საბინე ლოიტჰოისერ-შნარენბერგერი ჟურნალ „შპიგელთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი შესაძლოა გახდეს სპორტსმენებისა და პოლიტიკოსებისთვის საშუალება, რათა გამოხატონ თავიანთი პროტესტი რუსეთში იმ კანონის მიღების წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.



„ნებისმიერი პოლიტიკოსი უნდა დაფიქრდეს, როგორი დამოკიდებულება აქვს ასეთ პოლიტიკასთან, განსაკუთრებით უმცირესობებთან დაკავშირებით“, — აცხადებს გერმანიის იუსტიციის მინისტრი.

მოახლოებულ სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ სპორტსმენებს აქვთ საშუალება, რომ არ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, ხოლო პოლიტიკოსებმა უარი განაცხადონ ასეთ სპორტულ ფორუმებზე დასწრებაზე.

„არავინ არავის აიძულებს თამაშებში მონაწილეობას“, — ხაზი გაუსვა საბინე ლოიტჰოისერმა.

ამერიკის შეერთებული შტატები სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს არ გამოუცხადებს. აღნიშნული განცხადება თეთრი სახლის პრესსპიკერმა ჯეი ქარნიმ გააკეთა.

როგორც მან განმარტა, პრეზიდენტ ბარაკ ობამას იმედი აქვს, რომ რუსეთი ყველა ზომას მიიღებს იმისთვის, რათა ოლიმპიადა მშვიდობიანად და წარმატებით წარიმართოს.

„ჩვენ ამის შესახებ არ ვფიქრობთ, ეს არავის ინტერესებს არ შეესაბამება“, — აღნიშნა ქარნიმ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



# დევიდ ბექჰემმა, შესაძლოა, ფილმში ითამაშოს

არც ისე დიდი ხნის წინ დევიდ ბექჰემმა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. მიუხედავად ამისა, მის თაყვანისმცემელს თავიანთი კერპის ხილვა კვლავ ხშირად შეუძლიათ. ფეხბურთელი საკუთარი პარფიუმერული ნაწარმის რეკლამებსა თუ სხვა პროექტებში ხშირად გვევლინება. ამჯერად კი დევიდმა, შესაძლოა, კინემატოგრაფში გადაინაცვლოს. პრესა წერს, რომ ბექჰემს რეჟისორმა მეთიუ ბონისმა ფილმ „The Secret Service“-ში მონაწილეობა შესთავაზა. თუკი, სპორტსმენი ამ წინადადებას დასთანხმდება, მაშინ სურათში ის უარყოფით პერსონაჟს განასახიერებს, ხოლო მისი პარტნიორები სემუელ ელ ჯექსონი, მაიკლ კენი და კოლინ ფერტი გახდებიან. ამ უკანასკნელმა დევიდს თავადაც მიმართა. „კოლინ ფერტმა ბექსს ჰკითხა, უნდა თუ არა, კინოში თამაში. დევიდს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა, კინო ძალიან უყვარს და გადაღებაზე უარს არ იტყოდა“, — განუცხადა ინფორმატორმა ჟურნალ „The Sun“-ს. ფილმის პრემიერა 2014 წლის შემოდგომისთვის იგეგმება.

atb.ge

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# პაკისტანში დღესასწაულის დროს მომხდარ აფეთქებების სერიას 12 ადამიანი ემსხვერპლა

პაკისტანის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ კვეტაში მომხდარი აფეთქებების სერიას 12 ადამიანი ემსხვერპლა, 8 ადამიანმა კი სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო.



„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, აფეთქებები, მუსულმანების წმინდა თვის, რამადანის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ დღესასწაულზე მოხდა, რომლის დროსაც ყოველგვარი ძალადობა აკრძალულია.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ამ ფონზე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა, ამერიკის წარმომადგენლობის მიმართ გამოთქმული მუქარის გამო, პაკისტანში საელჩოს თანამშრომელთა ევაკუაციის ბრძანება გასცა.

ინფორმაციას ამის შესახებ „სი-ენ-ენი“ ავრცელებს.

საელჩოს ყველა თანამშრომელს საელჩოს დატოვება უკვე უბრძანეს. ამასთანავე, აშშ-ს მოქალაქეებს ქვეყანაში გადაადგილებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

თუ რა მუქარაზეა კერძოდ საუბარი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არ დაუკონკრეტებია.

შეგახსენებთ, რომ მანამ, 6 აგვისტოს, აშშ-მ საელჩოს ევაკუაცია იემენში მოახდინა და თავის მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის—ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 12 აგვისტო

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "რობინ ორლენი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" 09.30 საბ. ანიმც/ფ "პატარა პოლარული დათვი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "სუპერმენი" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 მხ/ფ "ლამაზი ანტონიო"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ქაირო" 09.00 მხ/ფ "და ყველაფერი განათდა" 10.55 მხ/ფ "ვინეტუ – I" 12.50 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "გერმანია" 13.15 მხ/ფ "ძაღლების სიყვარული სავალდებულოა" 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 1 ნაწ. 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 8 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 7 სერ. 00.15 მხ/ფ. "აუზი" (ა.დელონი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "ARTHUR ET LES MINMOYS" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "თოჯინები იცინიან" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მხ/ფ "ლესი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55 ისტორიის დღიური 10.15 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 დოკ/ფ "კოდორის გმირები" 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 გუთნისდედა 15.30 სპექტაკლი - "ბამბაზიის სამოთხე" 17.30 კვირიაკეს სიუჟეტი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" 19.35 მხ/ფ "გაზაფხული გადის" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები - გიორგი გვასალია - შესაქმე 22.25 "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ახალმოწამე" 00.30 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.40, 22.20, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05 ახალი დილა 10.05 BBC სერიალი - "ჯეკილი" გამ 11.05, 7.00 დოკ/ფ 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.10, 5.00 ცხელი შუადღე 14.10, 20.00 სერიალი - "ტკბილი შხამი" 15.30 სტერეოტიპი გამ 16.10 მატრიცა გამ 17.10 დოკ/ფ "არქიტექტურა" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.00, 1.50 ღია თამაში 23.00, 0.20 მხ/ფ მთავარი კითხვა.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## სამშაბათი 13 აგვისტო

08.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 09.30 საბ. მხ/ფ "უკანასკნელი მიმზი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "დაუვიწყარი მოგზაურობა" 14.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 მხ/ფ "ოპერაცია "მფრინავი"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 1 ნაწ. 14.00 დ/სერ. "ლეონარდო და ვინჩი" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 2 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 9 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კონცერტი: ვია "75" 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 8 სერ. 00.15 მხ/ფ. "მფრინავი ხანჯლების სახლი" (ე.ლაუ)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "ARTHUR AND THE REVENGE OF" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ხევსურული ბალადა" 14.00 სერ. "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 გაცინე და მოიგე. 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - "ბამბაზიის სამოთხე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი 10.55 დოკ/ფ "ახალმოწამე" გრიგოლ ფერაძე 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "გაზაფხული გადის" 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 15.30 დოკ/ფ "დავით გარეჯი" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი ფონდი" თ. გვანცელაძე - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები 23.45 განთიადის სიუჟეტი - იური ანუა 00.25 ისტორიის დღიური 00.35 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05 ახალი დილა 10.05, 14.10, 20.00 სერიალი - "ტკბილი შხამი" 11.05, 16.10, 7.00 დოკ/ფ 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.10, 5.00 ცხელი შუადღე 15.30, 17.10 დოკ/ფ "არქიტექტურა" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.00, 1.50 ღია თამაში 23.00, 0.20 მხ/ფ 3.50 მთავარი კითხვა.

## ოთხშაბათი 14 აგვისტო

08.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 09.10 საბ. მხ/ფ "ვილის გათავისუფლება" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ქალი კატა" (ჰ.ბერი) 14.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "უხილავი სამყარო" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 21.55 ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: საქართველო – ყაზახეთი (პ/რ) 00.00 მხ/ფ "ლუდის ფესტივალი"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 2 ნაწ. (სამშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ "მარი კიური" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 3 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 10 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ლამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 9 სერ. 00.15 მხ/ფ. "კარგი ქალი" (ს.იოჰანსონი)

08.00, 03.30 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "ARTHUR ET LA GUERRE DES 2" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "მატარებში ვიღაც იჯდა" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 00.30 მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.30 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 "ჩვენი ფონდი" ელენე კავლელიშვილი "აფხაზეთის სიწმინდეები" 11.00 დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" 11.20 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 12.40 ღია აუდიტორია 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 აქტუალური თემა 15.30 ისტორიის გაკვეთილი 16.05 დოკ/ფ "მეომრები" 16.30 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 16.45 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.25 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "დიმიტრი II" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე 00.35 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.00 "კვირის აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05 ახალი დილა 10.05, 14.10, 20.00 სერიალი - "ტკბილი შხამი" 11.05, 7.00 დოკ/ფ 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.10, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 რაც დარჩა სათქმელი გამ 16.10 გრიფის გარეშე გამ 17.10 დოკ/ფ "არქიტექტურა" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.00, 1.50 ღია თამაში 23.00, 0.20 მხ/ფ 3.50 მთავარი კითხვა.

## ხუთშაბათი 15 აგვისტო

08.00 დ/ფ "სიმართლე ატლანტიდაზე" 09.30 საბ. მხ/ფ "სკუბი დუ" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 ან/ფ "ღამის დარაჯთა ლეგენდები" 14.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "სიცოცხლე" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 23.00 მხ/ფ "ჩვენი მამების დროშები"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 3 ნაწ. 14.00 დ/ფ "ეფლი" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები-სიცოცხლის სადარაჯოზე" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი" 10 სერ. 00.15 მხ/ფ. "ოქროს ყვავილის წყევლა" (ჯ.ჩოუ)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "VALIANT" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "პირველი მერცხალი" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 გააცინე და მოიგე 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე 11.15 ეთნოგრაფია 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "დიმიტრი II" I ნაწ. 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 სალბუნი 15.20 დოკ/ფ "მეომრები" 15.45 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 16.10 კონცერტი - "აღდგომიდან ამაღლებამდე" მარინე იაშვილი 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ "დიმიტრი II" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ლექსით ქებათა ქება 21.10 ერთსულოვნების სალონი - მეცნიერება და რელიგია 22.25 "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე-აფხაზეთის მოსახლეობა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ღალიის ხატი" 00.35 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 13.45 "ჩემი ქორწილი" (გამ.) 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05 ახალი დილა 10.05, 14.10, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი" 11.05 დოკ/ფ 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.10, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ჩემიანი 16.10, 7.00 დოკ/ფ 17.10 დოკ/ფ "არქიტექტურა" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.00, 1.50 ღია თამაში 23.00, 0.20 მხ/ფ 3.50 მთავარი კითხვა.

## პარასკევი 16 აგვისტო

08.00 დ/ფ "რა არის რეალობა" 09.00 საბ. მხ/ფ "ჩარლი შოკოლადის ფაბრიკა" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ჰარი პოტერი და სიკვდილის ძღვენი" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 "წითელი ზონა" 23.30 "ცეკვა ამერიკაში" (ბალეტი.)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები-სიცოცხლის სადარაჯოზე" 14.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა/ 16.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "პრაღა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 1 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 7 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ/სერ. "ცხელი ძაღლი" 00.15 მხ/ფ. "ბრონქსის ისტორია" (ჩ.პალმინტერი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. "SPIDER-MAN" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "ნამდვილი ბრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "ღალიის ხატი" 11.20 ეთნოგრაფია 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "დიმიტრი II" I ნაწ. 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 "პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან" - ოლღა გურამიშვილი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი - სტეფან გრაპელი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ/ფ "სხვილი შვილები" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05 ახალი დილა 10.05, 14.10, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი" 11.05, 16.10, 7.00 დოკ/ფ 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.10, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 დიდი დრო (გამ) 17.10 დოკ/ფ "არქიტექტურა" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.00, 1.50 ღია თამაში 22.00 BBC სერიალი - "მადამ ბოვარი" 23.00 დოკ/ფ "არქიტექტურა" 23.30 სტერეოტიპი 0.20, 3.50 მხ/ფ

## შაბათი 17 აგვისტო

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ. ან/ფ "მხიარული თითები" 10.00 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – რიშარ გალიანო 13.30 ფილმი ნოსტალგია: "ანგელოზსა და ეშმაკს შორის" (ჟ.დეპარდიე) 15.30 "საფარი" 16.30 ქართ. ტ/ფ: "სუფთა დაფა" 17.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. II ტური: "დილა" /გორი/ – "დინამო"/თბილისი/ (პ/რ) 19.00 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.35 ქართ. მხ/ფ "შეხვედრა წარსულთან" 21.30 მხ/ფ "ოუშენის 12 მეგობარი" (ჯ.კლუნი) 23.30 მხ/ფ "პაროლდი და კუმარი"

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 12.00 დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 13.00 მხ/ფ "სახლი ტბის პირას" (კ.რივზი) 15.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 17.00 მხ/ფ "ვინეტუ – II" 19.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – კოკო შანელი 20.00 მხ/ფ "გაალეთ პოლიციაა-2" (ფ. ნუარე) 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" 3 სერ. 23.00 მხ/ფ "თოვლის ანგელოზები" (კ.ბეკინსეილი) (ტიტ.)

08.00 მხ/ფ. "ამაო გარჯა სიყვარულისა" 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "სონის შანსი". 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. "კერკეტი კაკალი-2" (ბ.უილისი) 02.10 მხ/ფ. "იტალიური ისტორია" (ა.ბონი) (ტიტ.)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ. "SPIDER-MAN-2" 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "არაჩვეულებრივი გამოფენა" 15.30 კომედი კონცერტი 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 "Latin Angels" 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "სხვილი შვილები" 13.30 დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 14.10 სათავეებთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა - ანიტა რაჭველიშვილი 17.00 დოკ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" 17.50 ფოტოგალერეა 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი - საქ.ეკლესიის სიწმინდეები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 ერთი დღე მონასტერში 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 ქართული ხმები 00.35 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 0.30, 5.30 ღია კარის დღე 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) 23.00 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 2.30 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები)

tv9 8.00, 9.00, 10.00, 13.30 სერიალი "ტკბილი შხამი" 11.00 პრეს ზონა 12.00, 15.00, 18.00, 0.00 ახალი 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.00 დილის იდილია გამ 14.30 პროფი გამ 15.30 BBC სერიალი - "მადამ ბოვარი" გამ 16.30, 2.00, 3.00, 4.30, 5.00, 5.30, 6.30, 7.00 დოკ/ფ 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 18.30, 23.00 დოკ/ფ "არქიტექტურა" 19.00 მედარეა 19.30, 0.15 მხ/ფ 21.00 მატრიცა 22.00 BBC სერიალი - "მადამ ბოვარი" 23.30 რაც დარჩა სათქმელი

## კვირა 18 აგვისტო

09.00 დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" 10.00 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "ძველი ვოდევილები" 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ვინეტუ – 3" 15.30 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 I არხი წარმოგიდგენთ – გ. საღარაძის შემოქმედებითი საღამო 19.00 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.50 "უცნობი მუსიკა" 22.30 მხ/ფ "ლეონი" (ჟ.რენო) 00.40 მხ/ფ "ჯონაჰ ჰექსი" (ჯ.მალკოვიჩი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "კატმანდუ" 09.00"ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ "ავტომრბოლელი" (ს.სარანდონი) 12.30 მხ/ფ"ბრიზლის ჩანჩქერი" 15.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 16.00 მხ/ფ"იღბლიანი"(ე.ბრანა) 18.00 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 19.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – ინდირა განდი 20.00 მხ/ფ " პაზარდელი დიუკები" 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" 4 სერ. 23.00 მხ/ფ "მამაცი"(ჯ.ფოსტერი)

08.00 მხ/ფ. "უიმბლდონი" 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ (გ/ჩ) 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 13.00 სერ. "სონის შანსი" 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.40 იმედის გმირები 18.00, 19.05 სერ. "ლურჯი კვამლი" 21.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 იმედიატორი 01.30 დოკ/ფ"ბავშვები და ფული"

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ. "SPIDER-MAN-2" 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "მხიარული რომანი" 15.30 კომედი კონცერტი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 "Latin Angels"01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "დიდი ქალაქის ჩირაღდნები" 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სღვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.00 ღია აუდიტორია 19.45 მხ/ფ "ცისფერი მთები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.30 მხ/ფ "კასაბლანკა"

მაესტრო 7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 20.00, 4.30 "ჩემი ქორწილი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45, 22.30 "ღია კარის დღე" 19.30 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 21.45, 2.30 კვირის აბები 23.00 "კინო მაესტროზე" 1.15, 3.30, 5.20, 6.30 ფარული კამერა

tv9 8.00, 9.00, 10.00, 13.30 სერიალი "ტკბილი შხამი" 11.00 დილის იდილია 11.30 პროფი 12.00, 15.00, 18.00 ახალი 12.30 სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ 13.00 ჩემიანი გამ 13.30, 16.30, 18.30, 3.00, 4.30, 5.00, 5.30, 6.30, 7.00 დოკ/ფ 15.30, 22.00 BBC სერიალი - "მადამ ბოვარი" 17.30 როგორ - "შევხვდი დედაშენს" 19.30, 0.00 მხ/ფ 21.00 გრიფის გარეშე 23.00 მედარეა გამ 23.30 დიდი დრო

# რატომ ჩაიშალა ობამას ვიზიტი მოსკოვში?

## (ექსპერტები „გადატვირთვის“ პროგრამის დასასრულზე საუბრობენ)

– პრეზიდენტი ობამა მოსკოვში ვიზიტს მიზანშეუწონლად მიიჩნევს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“. ამრიგად, პროგნოზი, რომ ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთში ჩაიშლებოდა, გამართლდა.

ბარაქ ობამა ცნობილი იყო, როგორც „გადატვირთვის პოლიტიკის“ არქიტექტორი. მისი არსი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ამერიკას „ცუდი პრეზიდენტი“ ჯორჯ ბუშ-უმცროსი მართავდა, რომელმაც ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთანაც, ურთიერთობები გააფუჭა. ახლა თეთრ სახლში მე, ანუ „კარგი პრეზიდენტი“, ობამა მოვედი, რუსეთთან ურთიერთობებსაც დავალაგებო. ამ ლოზუნგით ობამამ თავის დროზე არჩევნები მოიგო, შემდეგ „გადატვირთვის“ პოლიტიკის რეალიზაციას შეუდგა.

– ეს იმთავითვე მარცხისათვის იყო განწირული, – თვლის პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი, – რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების დაძაბვა არა ბუშის, არამედ რუსეთის გამოისობით მოხდა.

მართლაც, უკვე 2002-04 წლებში მოსკოვში ანტიდასავლური იმპერიული მიმართულება მკვეთრად გაძლიერდა. ეს ნათლად აისახა უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე. რუსეთმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ მთელი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის მიზანი უკრაინის დანაწევრება და მასზე კონტროლის აღდგენა იყო:

– დღეს, სამწუხაროდ, გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს ნარინჯისფერი რევოლუცია აშშ-ის მიერ იყო ინსპირირებული. ეს არ არის სწორი. უბრალოდ, ჩვენ აქტიურად შევეწინააღმდეგეთ უკრაინის დაშლა-დანაწევრებას, რასაც მოსკოვი ცდილობდა და ჩვენსას მივაღწიეთ კიდეც, – თვლის ამერიკელი პოლიტოლოგი ჯონ გრეჰემი.

ბი-ბი-სი ყურადღებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც ამახვილებს. ინგლისელი ექსპერტები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ „ცხინვალის ომი“ რუსეთის მიერაა ინსპირირებული.

– კრემლს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. დაგეგმილი იყო თბილისის აღება და იქ კადიროვის მსგავსი რეჟიმის დამყარება, – თვლის ბი-ბი-სი.

რუსეთმა თბილისის აღება ვერ შეძლო. ეს მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურებაა. მეტიც, ის რომ ქართული სახელმწიფო არ ჩამოიშალა, რასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდა და ცდილობს რუსეთი, აშშ-ის ძალისხმევის შედეგად მოხერხდა. ამრიგად, ვაშინგტონმა ახლაც გარკვეულწილად რუსული აგრესიის შეჩერება შეძლო.

– ბუშის დადანაშაულება რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებაში არამართებულია. მის ადგილზე აშშ-ის ნებისმიერი პრეზიდენტი ასე მოიქცეოდა, – თვლის გრეჰემი.

ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ „გადატვირთვის პოლიტიკა“ რეალურად ამოქმედდა. თავდაპირველად ამან გარკვეული შედეგები გამოიღო (თანამშრომლობა ავღანური პრობლემის მოგვარების ან ჩრდილოეთ კორეის საკითხის გარშემო), თუმცა ეს ხანმოკლე გამოდგა. მალე თავი იჩინეს წინააღმდეგობებმა. რუსეთმა მხარი დაუჭირა ანტიდასავლურად განწყობილ ოდიოზურ ლიდერებს (აწ განსვენებული კადაფი, ან სირიის ამჟამინდელი დიქტატორი ასადი). პარალელურად მოსკოვში სულ უფრო ძლიერდებოდა ანტიამერიკული ანტიდასავლური პროპაგანდა, რამაც ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. რუსული მასმედია თავის მოქალაქეებს ინტენსიურად არწმუნებდა, რომ სსრ კავშირი ამერიკამ დაანგრია, დღესაც „ევრაზიული კავშირის“ შექმნას აშშ უშლის ხელს. ამერიკა შეგნებულად ცდილობს რუსეთის დასუსტებას, რადგანაც ყველაზე დიდი მართლმადიდებელი სახელმწიფო ვართ და დასავლური ექსპანსიის განეიტრალება რეალურად შეგვიძლიაო. პოლიტოლოგ ანდრეი პიონტკოვსკის აზრით, ყოველივე შეგნებულად ხდებოდა.

– დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არაა, რომ რუსეთში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ჩაიშალა, – განაცხადა პიონტკოვსკიმ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში, – შესაბამისად, აუცილებელი იყო მტრის ხატის გამოძებნა და აღშფოთებული ხალხის ყურადღების ამ მიმართულებით გადატანა.

პუტინიც სწორედ ამას შეეცადა. ამას გარდა ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი სუკის ყოფილი ოფიცერია და მართვის დემოკრატიული მეთოდები მისთვის უცხოა. პუტინმაც ავტორიტარიზმი გააძლიერა, თავისუფალი პრესა კიდევ უფრო შეზღუდა, დაიწყო შეტევა არასამთავრობო ორგანიზაციებზე. პუტინმა ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის ჯაშუშებად გამოაცხადა.

– არც ერთი მეტ-ნაკლებად თავმოყვარე ქვეყანა არ შეეგუება იმას, რომ მის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტრუქტურები მოქმედებდნენ და უცხო ქვეყნის ინტერესებს იცავდნენ, – განაცხადა პუტინმა.

ავტორიტარულ რეჟიმს სათანადო იდეოლოგია სჭირდება. ეს კი მტრის ხატის გარეშე წარმოუდგენელია. რუსეთშიც ამერიკელი ჯაშუშების ინტენსიური გამოააშკარავება დაიწყო. პუტინმა უკიდურესად ხისტი პოზიცია გამოიჩინა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო შეიარაღების შემცირება, ადამიანის უფლებები და ა.შ. რუსეთის პრეზიდენტი საჯაროდ ტრაბახობდა:

– შესაძლოა, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ამერიკას თავი დაუხაროს, მაგრამ რუსეთი ასე არასოდეს მოიქცევა!

შედეგად, რუსეთთან ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ობამა მოსკოვთან დიალოგს მაინც ჯიუტად ცდილობდა. ამან აშშ-ის კონსერვატორული ძალები აღაშფოთა. ჯონ მაკკეინი ობამას სულ უფრო ცხარედ აკრიტიკებდა. ამერიკული საზოგადოების ფართო ფენისათვის ცხადი გახდა, რომ „გადატვირთვა“ მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტს სურდა. შესაბამისად, ის მარცხისათვის იყო განწირული.



– მოთმინების ფიალა კი სნოუდენის საქმემ აავსო, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

ამერიკის დაზვერვის ექსთანამშრომლისათვის რუსეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა მართლაც უპრეცედენტო საქციელი გახლდათ. აშშ-ის მოქალაქეების უმრავლესობაც მაკკეინის პოზიციას იზიარებდა. ამან ობამას გადაწყვეტილებაზე იმოქმედა:

– პრეზიდენტმაც რუსეთში ვიზიტზე უარი განაცხადა. ეს ძირითადად ამერიკული საზოგადოების პოზიციამ განაპირობა, – თვლის პიონტკოვსკი, – ამით „გადატვირთვაც“ დასრულდა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მიერ მოსკოვში ვიზიტის ჩაშლა უპრეცედენტო ფაქტია, თუმცა მოსკოვში ამას თავშეკავებით შეხვდნენ. „დასანანია, რომ ბატონმა ობამამ ვიზიტზე უარი თქვა“, – ასეთი განცხადება გაავრცელა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე უშაკოვმა. მიუხედავად ამისა, ობამა მაინც ცდილობს მოსკოვთან საერთო ენის გამოძებნას. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, მალე მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავლენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი, თუმცა, სავარაუდოდ, ეს სასურველ შედეგს არ გამოიღებს:

– პუტინისათვის ანტიდასავლური და ანტიამერიკული პოზიცია ხელსაყრელია. შესაბამისად, რუსეთ-აშშ-ს შორის წინააღმდეგობებიც შენარჩუნდება, – თვლის ანდრეი პიონტკოვსკი.

ექსპერტების აზრით, რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების გამწვავება უდიდეს გავლენას იქონიებს თავად რუსეთზე. არავისათვის საიდუმლო არაა, რომ რუსი ოლიგარქები თავიანთ კაპიტალს ევროპისა და ამერიკის ბანკებში ინახავენ. შესაბამისად, ამერიკის სპეცსამსახურებსაც თავისუფლად შეუძლიათ, მათ პრობლემები შეუქმნან:

– რუსი ოლიგარქების კაპიტალი უკანონო გზითაა შეძენილი, შესაბამისად, მათთვის პრობლემების შექმნაც რეალურია. ეს კი რუსეთის ეკონომიკაზეც იქონიებს გავლენას და პოლიტიკურ ვითარებაზეც, – ანდრეი პიონტკოვსკიმ ეს რადიო „თავისუფლების“ ეთერიდან განაცხადა.

„გადატვირთვის“ დასასრული პოსტსაბჭოურ სივრცეზეც იმოქმედებს და რუსეთიც საქართველოზე კონტროლის აღდგენას უფრო ინტენსიურად შეეცდება.

– არა მგონია, რუსეთმა ამ ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია განახორციელოს. საამისო საჭიროება, უბრალოდ, არ არსებობს. მოსკოვიც უპირატესობას ჩეკისტურ ოპერაციებს მიანიჭებს, – თვლის უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო.

ბატონი ფისენკოს აზრით, კრემლი მთავარ აქცენტს საქართველოს პროდასავლური სპექტრის დაქსაქსვა-დისკრედიტაციაზე გააკეთებს. მოსკოვი შეეცდება, გააძლიეროს მისდამი ლოიალურად განწყობილი ძალები, რომლებიც შემდეგი სქემით იმოქმედებენ: 1) ნატოზე უარის თქმა და ნეიტრალიტეტის გამოცხადება, 2) სოხუმისაკენ რკინიგზის გახსნა, 3) ანტითურქული და ანტიაზერბაიჯანული პროპაგანდის წარმოება, 4) ე.წ. ანტიცისფერული პროპაგანდა, საზოგადოების დარწმუნება, თითქოს აშშ შეგნებულად უწყობს ხელს საქართველოში ჰომოსექსუალიზმისა და გარყვნილების გავრცელებას, 5) „ქრისტიანულ ფასეულობათა დაცვა“ ანუ მტკიცება იმისა, რომ დასავლეთთან დაახლოება მართლმადიდებლობას საფრთხეს უქმნის.

– შედეგად, უნდა მოხდეს საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია. ამის შემდეგ მასზე კონტროლის აღდგენაც უკვე ტექნიკის საქმე იქნება, – განაცხადა ფისენკომ რადიო „ თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში.

ამრიგად, აშშ-ის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტი ჩაიშალა. „გადატვირთვაც“ დასრულდა. იქმნება ახალი საერთაშორისო ვითარება. მზად არის ამისათვის საქართველო?

**ნიკა თევზაძე**

# ზაირა ჩანტლაძე: „თენგიზი ორჯერ გარდაიცვალა“

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

ალბათ, ეს იყო ჩემი როლი.

***– უშუალოდ პარტნიორობაში მკაცრი იყო?***

– თენგო იყო იმპროვიზატორი, ამიტომ მისი პარტნიორობა საკმაოდ რთული იყო, უცებ რას იტყოდა, კაცმა არ იცოდა, მერე შენც ხომ უნდა გაგეგრძელებინა დიალოგი და გეპასუხა, თანაც სისულელე ხომ არ უნდა გეთქვა, ცოტათი მაინც უნდა ყოფილიყავი მის დონესთან მიახლოებული. ეს საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო იყო. მუდმივი მოულოდნელობების რეჟიმში ვიყავი. თენგიზი იყო ადამიანი დღესასწაული. ჩვენ შვილები არ გვყოლია და არ ვნანობ, რომ საუკეთესო წლებმა ასე გაიარა. ძალიან გთხოვთ, ჩემ მაგივრად გული ნუ დაგწყდებათ. ყველა დედას ვეთაყვანები, დედაჩემის ჩათვლით, მაგრამ გული არ მწყდება. ალბათ, ღმერთის ნება იყო. ჩვენ გვქონდა ბევრი შესაძლებლობა, მაგრამ არ მოვინდომეთ თავის დროზე. არ ვიცი, ცუდად მოვიქეცით თუ არა, მაგრამ ყოველთვის მეუბნებოდა, შენ ნუ წუხხარ, მე არ მაწუხებს ეს საკითხი, იმიტომ რომ შენ ის ჩემზე მეტად გეყვარებოდაო. ასე რომ, ნუ შეგებრალებით! მახსოვს, სულ ცოტა ხნის შეუღლებულები ვიყავით და სენაკში ჩავედით გასტროლებზე. გავცივდი და ძალიან მაღალი სიცხე მქონდა. იქ ადგილობრივ გაზეთს უნდოდა ჩვენთან ინტერვიუ, მაგრამ ცალ-ცალკე ერთი და იგივე კითხვები უნდა დაესვათ ჩვენთვის. როცა ორივე ჩაგვწერა, გაოცებული იყო ჟურნალისტი, მსგავსი არაფერი გამიგია, აბსოლუტურად ერთნაირი პასუხები გაქვთო. არადა, დაშტამპული კითხვები არ ყოფილა, სხვადასხვა თემა იყო და მაინც ერთნაირი პასუხები გვქონდა.

***– მართალია, რომ კომიკოსები რეალურ ცხოვრებაში სევდიანები არიან?***

– ადიდებდა თენგიზი ჩაპლინს, ძალიან უყვარდა, ჩვენს სახლში სულ ჩაპლინის მუსიკა ისმოდა. თენგიზს მოიხსენიებდნენ ქართველ რაიკინად. ის ზომიერად სევდიანი იყო, თან ბევრი ტკივილიც წაიღო.

***– წინათგრძნობა ჰქონდა?***

– არ ვიცი. ჩემი გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა ერთ კვირაზე მეტი არ გაცოცხლოსო, მითხრა და, წარმოგიდგენიათ, რა უსინდისო ვარ?! ერთი კვირა მომცა ვადა თენგომ და 25 წელი გახდება 7 სექტემბერს, რაც ის აღარ არის, მე კი ცოცხალი ვარ. პატრიარქი ძალიან დამეხმარა და შემიმსუბუქა ეს ტკივილი. ამქვეყანად, სამწუხაროდ, ბევრი ტკივილია, რიგით ადამიანებსაც ბევრი ტკივილი აქვთ. მგონია, რომ ეს ტკივილიც გაძლიერებს და გამაღლებს ადამიანს. ღმერთის ნებაა ყველაფერი. ძალიან საინტერესოა ცხოვრება. ამდენი ტკივილისა და საოცრების მიუხედავად, რაც გადავიტანე, ცხოვრება ისევ მაინტერესებს და მინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს. მინდა, ერთმანეთი გვიყვარდეს. სიყვარული ხომ ხელოვნებაა. მინდა, ყველა ადამიანი იყოს მუდმივად შეყვარებული, ლამაზი და ძლიერი. ცოტა ლოზუნგის დონეზე გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ მინდა, ასე იყოს და რა ვქნა?!

# სამგლოვიარო განცხადებები



გუდვილის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კლარა ამირანის ასული კალაძე**

პანაშვიდი: 9, 10 აგვისტოს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 11 აგვისტოს, 14 საათზე.

მისამართი: სამტრედიის ქუჩა №51.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. წინასწარმეტყველი რომსა და ძველ საბერძნეთში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საზომი აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასადილო იტალიაში; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. ქართული ტელეკომპანია.

**თარაზულად:** 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. ქართული ჟურნალი; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 25. ბრიტანული არაყი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. ბოტიჩელი; 4. ბრუდერი; 5. შამპანური; 9. ჰავანა; 12. კოპელია; 14. უჯარმა; 15. „ნანა“; 17. ჯამნა; 18. უშტი.

**თარაზულად**: 6. მარეხი; 7. კოტირება; 8. ბეშუმი; 10. ჩექმა; 11. როინაშვილი; 13. „კულინანი“; 16. კოტეჯი; 19. შპილმანი; 20. ჩანჩქერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. „ოჯალეში“; 3. ანდამატი; 4. აქსესუარი; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. მოლაღური; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 19. ბედუინი; 21. „გიუმი“; 22. სეული.

**თარაზულად**: 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. ბებუთი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. სტაპელი; 16. ბანკროტი; 17. ხიდი; 18. აბაშა; 20. სამორინე; 22. სტუკო; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. „მონდი“.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 აგვისტო


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6619

ევრო — 2,2198

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5768

100 რუსული რუბლი — 5,0452

**ამინდის პროგნოზი 10 აგვისტოსთვის**




# ქართველთა მეორე მარცხი

**პოლონეთი 87:75 საქართველო (25:25, 17:10, 25:15, 20:25)**

**პოლონეთი:** ჩილინსკი (10ქ), ლამპე (11), ვაჩინსკი (14), კოშარეკი (3), კარნოვსკი (3); ვიშნიევსკი, შუბარგა (4), ზამოისკი (14), პონიტკა (12), კულიგი, ჰრიჩანიუკი (3), გიელო, იგნერსკი (13)

**საქართველო:** ბოისა (2), ცინცაძე (22), შერმადინი (7), მარკოიშვილი (9), სანიკიძე (20); ფაცაცია (1), სანაძე (14), ცქიტიშვილი, ბურჯანაძე, ფხაკაძე, შარაბიძე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იტალიის ქალაქ ტრენტოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მეორე მატჩი გამართა. იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი ქართველების მეტოქე ამჯერად პოლონეთის ნაკრები იყო, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ჯგუფშია. შესაბამისად, ამ შეხვედრას უფრო დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა.

ორივე გუნდის მწვრთნელი იმის დანახვას ცდილობდა, რაც ერთი შეხედვით არ ჩანდა. ამ სტრატეგიულ თამაშში საბოლოოდ პოლონეთმა იმარჯვა – 87:75.

პირველ მეოთხედში საქართველო 11:20 ჩამორჩა, თუმცა გიორგი ცინცაძის შედეგიანი თამაშის წყალობით ქართველები 21:20 დაწინაურდნენ. ცინცაძემ პირველ მეოთხედში 12 ქულა ჩააგდო, მისი 10 საჯარიმოდან 8 ზუსტი გამოდგა. საწყისი მეოთხედი კი, საბოლოოდ 25:25 დასრულდა.

პოლონელებთან საქართველომ ნატურალიზებული კალათბურთელების გარეშე ითამაშა. განაცხადში ლუკ ზელერი გახლდათ, რომელიც მოედანზე არ გამოჩენილა. რიკი ჰიკმანს რაც შეეხება, კოკოშკოვს ის განაცხადში არც ამჯერად შეუყვანია.



მეორე პერიოდში თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა შემდეგ პოლონელებმა იძალეს და დიდი შესვენებისთვის 7 ქულით – 42:35 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. პოლონელებმა შედეგიანი თამაში გააგრძელეს, მე-3 პერიოდი 25:15 მოიგეს და ბოლო მეოთხედის წინ 17 ქულით დაწინაურდნენ, რის შემდეგ მატჩის სასურველი შედეგით დასრულება არ გასჭირვებიათ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ეგვიპტეში ქრისტიანებს ახალი ძალით დევნიან



ეგვიპტის კოპტური მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი თეოდოტ მეორე, ჩამოგდებული პრეზიდენტ მურსის მომხრე ისლამისტების შესაძლო შეტევების გამო, იძულებული იყო მრევლთან ყოველკვირეული შეხვედრები შეეჩერებინა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ინგლისის კოპტური მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსის ანგელოსის თქმით, ეგვიპტეში ქრისტიანების მიმართ უპრეცედენტო ძალადობის ზრდის გამო ისლამისტებთან მორიგებაზე იმედი სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება.

უფლებადამცველები არაერთგზის გამოსულან განცხადებებით ეგვიპტეში ქრისტიანების დევნის შესახებ, ისლამისტები კოპტებს იმ როლისთვის ადანაშაულებენ, რომელიც ეკლესიამ მურსის თანამდებობიდან ჩამოგდების საკითხში ითამაშა – კოპტურმა ეკლესიამ უარი განაცხადა მურსის თანამდებობიდან გადაყენება გადატრიალებად შეეფასებინა.

„სირიელი და ეგვიპტელი ქრისტიანები თავშესაფარს კავკასიაში ეძებენ“, – ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა „გლობალ პოსტი“ ნიკოლას კლეიტონის სტატიას.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველო და სომხეთი იმ კოპტების თავშესაფრად იქცა, რომლებიც სამშობლოში ძალადობასა და დისკრიმინაციას გაურბიან, თუმცა ისინი სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებიან.

„ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის გადაყენებიდან ორი წლის შემდეგ, ეგვიპტელი ადელი რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან დატოვოს ეგვიპტე ან დარჩეს და იცხოვროს დისკრიმინაციისა და ძალადობის რისკის ქვეშ, რამდენადაც ქვეყანაში რელიგიური დაძაბულობა მატულობს“, – წერს სტატიის ავტორი და აღნიშნავს, რომ სავიზო შეზღუდვები ხელს უშლის ადელს მიზნების განხორციელებაში, თუმცა მისთვის საბედნიეროდ, საშუალო ფენის ქრისტიანი კოპტი ახალი ცხოვრების დაწყებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაში აპირებს.

„ეგვიპტეში რთულია აშშ-ისა და ევროპის ვიზის მიღება. ჩვენ არ აგვირჩევია საქართველო, საქართველომ აგვირჩია ჩვენ“, – ციტირებს სტატიის ავტორი 50 წლის ეგვიპტელი ადელის სიტყვებს.

ნიკოლას კლეიტონი ასევე აღნიშნავს, რომ ეგვიპტელი და სირიელი ქრისტიანული უმცირესობები სამხრეთ კავკასიაში – კერძოდ, საქართველოსა და სომხეთში ეძებენ თავშესაფარს, როგორც ძალადობის ლტოლვილები.

„წელს საქართველომ ეგვიპტელებისთვის დაახლოებით 2 ათასი ვიზა გასცა – თითქმის ყველა კოპტელი ქრისტიანისთვის. გასულ წელს კი, „ევრაზიანეტის“ ინფორმაციით, გაცემული ვიზების რიცხვი 222 იყო. საქართველოში ამ დროისთვის 2 500 ეგვიპტელი ცხოვრობს. სომხეთის მთავრობის განცხადებით კი, მათ ქვეყანაში ცხოვრების სურვილი 7 ათასმა სირიელმა სომეხმა გამოთქვა“, – წერს ნიკოლას კლეიტონი.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს კიდევ ერთი ეგვიპტელის სიტყვებს, რომელიც საქართველოში იანვარში ჩამოვიდა და მცირე ტიპის სასტუმრო გახსნა. თუმცა, 39 წლის აჰმედი ნიკოლას კლეიტონთან საუბარში აცხადებს, რომ როგორც კი სასტუმროში ჩადებულ თანხას ამოიღებს, მაშინვე სამშობლოში დაბრუნდება.

„საქართველო მშვენიერი ქვეყანაა მშვენიერი ხალხით, თუმცა არახელსაყრელია ბიზნესისთვის და მუდმივი საცხოვრებლისთვის“, – ციტირებს სტატიის ავტორი ეგვიპტელი აჰმედის სიტყვებს, რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი უმუშევრობა და სიღარიბე იმიგრანტებისთვის და მეწარმეებისთვის რთულ ეკონომიკურ პირობებს ქმნის.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ შუა აღმოსავლეთიდან წამოსული იმიგრანტებისთვის მომხიბვლელია საქართველოს სეპარატისტული რეგიონი აფხაზეთიც.

„აფხაზეთი, საიდანაც 1993-94 წლების ომის შემდეგ 200 ათასი ქართველია იძულებით გადაადგილებული, ახლა სირიელ ჩერქეზებს იწვევს საცხოვრებლად. აფხაზეთის განცხადებით, აფხაზეთში უკვე დასახლდა 400 სირიული ოჯახი“, – წერს ნიკოლას კლეიტონი და ეგვიპტელი ადელის სიტყვებს დასძენს, რომელიც აცხადებს, რომ ეგვიპტელებმა არაფერი იცოდნენ პატარა, გაჭირვებული ქვეყნის – საქართველოს შესახებ, ვიდრე ეგვიპტის ხელისუფლებაში „მუსლიმთა საძმო“ არ მივიდა.

**გ. მ.**

# პალესტინასა და ისრაელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებები მომავალ კვირას იერუსალიმში გაიმართება



აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, პალესტინასა და ისრაელს შორის პირდაპირი სამშვიდობო მოლაპარაკებები მომავალ კვირას იერუსალიმში გაიმართება.

ეს იქნება პირველი მოლაპარაკებები, რომლებიც ისრაელსა და პალესტინის წარმომადგენლებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიმართება. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

აშშ-ს განცხადებას მოლაპარაკებების დაწყების შესახებ წინ უძღვოდა ისრაელის გადაწყვეტილება გაეთავისუფლებინა ციხეებიდან 100-ზე მეტი პალესტინელი პატიმარი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის თქმით, ორივე მხარე აპირებს საბოლოო სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას.

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში კერიმ ახლო აღმოსავლეთში პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების განახლებისათვის ექვსი ოფიციალური ვიზიტი განახორციელა.

„ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებები 14 აგვისტოს იერუსალიმში გაიმართება. ამის შემდეგ შეხვედრა იერიქონში შედგება“, – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ.

თავის მხრივ, მსოფლიოში ყველაზე უხუცესი პრეზიდენტი, შიმონ პერესი, რომელსაც 2 აგვისტოს 90 წელი შეუსრულდა, ისრაელი-პალესტინის მოლაპარაკებების წარმატებაში დარწმუნებულია.

„ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შანსები გაიზარდა, რადგან ორივე მხარეს ესმის, რომ ამას ალტერნატივა არ გააჩნია“, – განაცხადა ბი-ბი-სისთან ინტერვიუში ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა.

პერესის თქმით, ის 100 პროცენტით დარწმუნებულია, რომ პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

შეგახსენებთ, რომ ისრაელმა და პალესტინის ავტონომიამ ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველი სამშვიდობო მოლაპარაკებები გამართეს და საბოლოო შეთანხმების მისაღწევად 9-თვიან გეგმაზე შეთანხმდნენ.

**გ. მ.**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიის ქვეყნებში; 4. იაპონური თოჯინების თეატრი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისაგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 14. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 15. კამეჩის ნაშიერი; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ამერიკის კონტინენტზე.

**თარაზულად:** 6. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი შუა-საუკუნეების აჭარაში; 7. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 8. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 19. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ასტროპროგნოზი

**10 აგვისტო – ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – არავის ენდოთ, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კურო** – ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არ გარისკოთ, არ ღირს. **ლომი** – ახალი პროექტი დაგაინტერესებთ, მთავარია იაქტიუროთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, ისე იმოქმედეთ, როგორც ადრე. **სასწორი** – შედით სხვის მდგომარეობაში, იყავით უფრო მიმტევებელი. **მორიელი** – დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, მთავარია არ შეშინდეთ. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ სითხე. **თხის რქა** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ, ვიტამინები არ მოიკლოთ. **მერწყული** – დაფიქრდით და ყველა კითხვაზე იპოვით პასუხს. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

**11 აგვისტო – სიახლის დღეა**

**ვერძი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, ეს ძალიან გახარებთ. **კურო** – შინაგან თავისუფლებას გრძნობთ, უზრუნველად ხართ. **ტყუპები** – არ ჩქარობთ, ნება-ნება მუშაობთ, ასე განაგრძეთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ფულს შოულობთ, თანაც ბევრს. **ქალწული** – კარგ ხასიათზე ყოფნა კარგია, ამის მიზეზიც გაქვთ. **სასწორი** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მორიელი** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და დაჯილდოვდებით კიდეც. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, თავს კარგად გრძნობთ. **თევზები** – ახალ სამსახურს ეგუებით, ამას დრო სჭირდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი